!!!

ახლა მთავარია, „ოცნებამ“ თავგასული ნაციონალების მიმართ ძველი ბრძნული პრინციპით იმოქმედოს: ყბედი რამ მოღალა, და მუნჯმაო!.. სხვაგვარად უკვე აუტანელი გახდა ყოველდღიურად ამდენი წყალწყალა, ხალხის გამაღიზიანებელი ლაქლაქი! ოცნებელებო, საქმეს მიხედეთ, ენაჭარტალა ნაციონალებს საკამათოდ ნუ დაუსხდებით! ეგენი განგებ განაყვინებენ წყალს!

საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოლდვერი სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბერის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 12 სექტემბერი, 2014 წელი.

№185 (7566)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

აქტიურ პოლიტიკაში თქვენი დაბრუნების დროა, ბატონო ბიძინა!

3

ბატონ ბიძინა ივანიშვილს ჩვენგან არ ესწავლება, რა სჭირს ქვეყანასს! კიდევ ერთი დიდგორი წინაა, უნდა გაიწმინდოს პოლიტიკური ველი.

ბატონო ბიძინა, ყველა ნაღდი ქართველი გვერდში დაგიდგებათ ამ ბრძოლაში, რამეთუ ქვეყანა ერთია, — „სამშობლო როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა“.

ხასანბეგი სააკაშვილი სარფს მოადგა.

მის უკან დიდი ძალა დგას, ღარიბაშვილი კი მხოლოდ რამდენიმე კაცის და შსს-ს იმედადაა.

ის, რამაც კარლ ბილდტიც „გაანათა“

4

„ეს ძალზე დიდი თანხაა საქართველოსნაირი პატარა და ღარიბი სახელმწიფოსთვის. ეს იმაზე გაცილებით მეტია, ვიდრე ამერიკულმა ლობისტურმა ორგანიზაციებმა მიიღეს ხუთი წლის განმავლობაში. ამ თანხის გათვალისწინებით, უნდა დაისვას კითხვა, სინამდვილეში რისთვის გადაიხადა სააკაშვილის მთავრობამ ეს ფული. რა სამუშაო შეასრულა „Kreab“-მა?“

ირაკლი მენაღარიშვილი:

8

მაღალი დონის საერთაშორისო ფორუმზე ერთი სახელმწიფოდან ორი დელეგაციის ერთდროულად ჩასვლა ნონსენსია

საქართველოში რელიგიათაშორისი კეთილგანწყობა ურთიერთპატივისცემას და ანგარიშის გაწევას ემყარებოდა და ეს დამოკიდებულება აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს!

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ქობულეთში მომხდარ ფაქტს გმობს და ემიჯნება

საპატრიარქოს პრესსამსახურის განცხადება დეკანოზმა დავით შარაშენიძემ წაიკითხა.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ **ქობულეთში მომხდარი ფაქტი მორწმუნე მუსლიმთა რელიგიური გრძნობების უხეში შეურაცხყოფაა და ასეთი ქმედება მიუღებელია როგორც ქრისტიანული, ისე ნებისმიერი ტრადიციული რელიგიისათვის. განცხადების თანახმად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია გმობს და ემიჯნება მომხდარს.**

განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ **სხვადასხვა კონფესიების ურთიერთპატივისცემის გარემოში თანაარსებობა საუკუნეების განმავლობაში დამახასიათებელი იყო ჩვენი ყოფისათვის. განცხადებაში მაგალითად მოყვანილია წმინდა დავით აღმაშენებლის ცხოვრება, რომელიც პატივისცემით ეპყრობოდა სხვა რელიგიის წარმომადგენლებს, მათ შორის, მუსლიმებს.**

განცხადებაში ხაზგასმულია, რომ **ერეკლე მეორის გვერდით საქართველოსთვის ბორჩალოელი მუსლიმები იბრძოდნენ და რომ ასეთი მაგალითები საქართველოს ისტორიაში სხვაც ბევრი იყო.**

„ტრადიცია დღესაც გრძელდება. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს მეტად თბილი დამოკიდებულება აქვს საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებთან, მათ შორის, მუსლიმებთან. ასევე საუკეთესო ურთიერთობა აქვს დამყარებული ისლამური ქვეყნების მეთაურებთან და სულიერ ლიდერებთან აზერბაიჯანში, თურქეთში, ირანში, ქუვეითში. სამწუხაროდ, აღინიშნა ისიც, რომ რამდენიმე წელია, პერიოდულად მომსწრენი ვხდებით გარკვეული ძალების პროვოკაციული მცდელობებისა, რომელთა მიზანია საქართველოს ეკლესიის დისკრედიტაცია“, — ნათქვამია განცხადებაში.

ამასთან, განცხადებაში **საპატრიარქო ეჭვს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ მომხდარი, ერთი მხრივ, დაემთხვა იმ დროს, როდესაც საქართველოში დაგეგმილია თურქეთის რელიგიის საქმეთა სამმართველოს თავმჯდომარის ვიზიტი, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოწვევით ჩამოდის თბილისში და, მეორე მხრივ, თბილისში იმართება ორდღიანი საერთაშორისო კონფერენცია რელიგიის თავისუფლების თემაზე, რომელშიც გაეროს სპეციალური მომხსენებელი მონაწილეობს.**

„რა თქმა უნდა, პროვოკაციას ჩვენ ვხედავთ 10 სექტემბერს ჩადენილ ქმედებაში, მაგრამ ვხედავთ იმაშიც, რომ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ნების საწინააღმდეგოდ და ხელისუფლებასთანაც შეუთანხმებლად მოხდა ისლამური სკოლა-პანსიონის აშენება, რომლის რელიგიური დანიშნულებაც ეჭვგარეშეა. საქართველოს კანონმდებლობა მუსლიმებს ან სხვა რომელიმე კონფესიის წარმომადგენლებს შეიძლება აძლევდეს ამის ნებას, მაგრამ მორალურად და მით უმეტეს, რელიგიურად გამართლება არ აქვს ისეთ ქმედებას, რომელიც ხალხში დიდ შფოთსა და დაპირისპირებას იწვევს“, — ნათქვამია განცხადებაში.

ამასთან, განმარტებულია, რომ **საქართველოში რელიგიათაშორისი კეთილგანწყობა ურთიერთპატივისცემას და ანგარიშის გაწევას ემყარებოდა და ეს დამოკიდებულება აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს.**

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ირაკლი ღარიბაშვილი ილჰამ ალიევს შეხვდა

აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს პრემიერ-მინისტრი აზერბაიჯანის პრეზიდენტს შეხვდა. როგორც „ინტერპრესნიუსს„ პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურიდან აცნობეს, პირისპირ შეხვედრა ირაკლი ღარიბაშვილსა და ილჰამ ალიევს შორის ზაგულბას საპრეზიდენტო სასახლეში გაიმართა.

შეხვედრაზე ორი ქვეყნის კეთილმეზობლური ურთიერთობა და სტრატეგიული თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რეგიონალური უსაფრთხოებისა და ენერგოუსაფრთხოების საკითხებს. გამოითქვა სურვილი, აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის გაღრმავდეს პოლიტიკური, ეკონომიკურ-კულტურული და ენერგეტიკული თანამშრომლობა.

პირისპირ შეხვედრისას, საქართველოს პრემიერ-მინისტრი და აზერბაიჯანის პრეზიდენტი პარტნიორული ურთიერთობის შემდგომი განვითარების პერსპექტივებსაც შეეხნენ და აღნიშნეს, რომ გამოცდილების გაზიარება პოლიტიკური, ეკონომიკური და ჰუმანიტარული მიმართულებით, ორივე ქვეყნისთვის სასარგებლო იქნება.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის პირისპირ შეხვედრის შემდეგ, აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი საქართველოს დელეგაციას გაფართოებულ ფორმატში შეხვდა.

მხარეებმა ის კონკრეტული პროექტები განიხილეს, რომლებსაც საქართველო და აზერბაიჯანი ერთობლივად ახორციელებენ. კერძოდ, საუბარი შეეხო ეკონომიკურ, ენერგეტიკულ და სატრანსპორტო სფეროებში მიმდინარე პროექტებს, მათ შორის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენსა და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენს.

პრეზიდენტის აშშ-ში ვიზიტი ჩაიშალა

ამის შესახებ გიორგი მარგველაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მისი თქმით, გადაიდგა ნაბიჯები პრეზიდენტის ინსტიტუტის საწინააღმდეგოდ.

— ეს ნაბიჯები გადადგმულია არა სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ — უწყებრივი დაპირისპირებიდან. თუ ჩვენ წავალთ ამ გზით და შევეცდებით, მონოპოლიზაცია განვახორციელოთ რომელიმე ინსტიტუტში, იმას მივიღებთ, რაც არ მოგვწონდა სააკაშვილის ხელისუფლებაში, — განაცხადა მარგველაშვილმა.

* * *

პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი მისი და პრეზიდენტის ინსტიტუტისადმი გამოთქმულ კრიტიკას ეხმაურება

— არის გარკვეული გახშირებული კრიტიკა პრეზიდენტისა და პრეზიდენტის ინსტიტუტის, არსებული რამდენიმე პრობლემური საკითხიდან გამომდინარე. მინდა, ვუპასუხო იმ კრიტიკას, რომელიც ჩემს მიმართ მოდის აღმასრულებელი გუნდის გარკვეული წარმომადგენლებისგან, ბატონი ბიძინა ივანიშვილისგან და დავარწმუნო ყველა, რომ აქ არ არის პიროვნული დაპირისპირება, აქ არ არის პოლიტიკური დაპირისპირება, აქ არის ძალიან პრინციპული მცდელობა პრეზიდენტის და პრეზიდენტის ადმინისტრაციის, რეალურად საქართველოში ჩამოაყალიბოს ფუნქციონირებადი დემოკრატია. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ყველა ინსტიტუტი, როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ან სასამართლო ასრულებს თავის მოვალეობას და ვალდებულებას. ჩემი პოზიციაც აქედან გამომდინარეობს. მე არც ერთ მომენტში არ მქონია მცდელობა, რომ პოლიტიკურად დაპირისპირებული ნაბიჯი გადამედგა. ჩემი ყველა მცდელობა ამოდიოდა და მთავრდებოდა იმით, რომ განვაგრძო მცდელობა, გავაძლიერო ყველა ინსტიტუტი ერთნაირად და ერთი რეჟიმით, — აღნიშნა პრეზიდენტმა მარგველაშვილმა.

ქვეყნის პირველი პირის შეფასებით, დაპირისპირება, რომელიც მასსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის არსებობდა, „გადავიდა მართლა პრობლემურ დაპირისპირებაში“.

* * *

პრეზიდენტმა კომენტარი იმ ინფორმაციაზე გააკეთა, რომლის თანახმად, აშშ-ში მისი ვიზიტის დაგეგმვაში აშშ-ში საქართველოს ყოფილი ელჩი თემურ იაკობაშვილი მონაწილეობს.

როგორც მარგველაშვილმა განმარტა, თემური იაკობაშვილი მისი მეზობელია მთაწმინდაზე და დიდი ხნის ურთიერთობა აქვს.

„სხვათა შორის „ნაციონალური მოძრაობის“ დროს, როდესაც ყველას ეშინოდა ერთმანეთთან ურთიერთობის, თემურს არ ეშინოდა ჩემთან ჰქონოდა პირადი ურთიერთობა. მე ამას ძალიან ვაფასებ, მაგრამ მე თემურისთვის არაფერი მითხოვია. ჩვენ ვმუშაობდით ჩვენი საშუალებებით, თუმცა სამწუხაროდ, ეს საშუალებები იქნა განეიტრალებული“, — აღნიშნა პრეზიდენტმა.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებით კი, გავრცელებული ინფორმაცია, რომ გაეროში პრეზიდენტის ვიზიტის ორგანიზებაში, აშშ-ში საქართველოს ყოფილი ელჩი თემურ იაკობაშვილი მონაწილეობს, მისთვისაც ცნობილია.

* * *

ქვეყნის პირველი პირის თქმით, ის, რაც დაპირისპირებად ფასდება, რეალურად კონკრეტული ინსტიტუტის მიერ პოლიტიკის დამოუკიდებლად განხორციელებაა.

„მე ვერავინ მომიტანს ერთ მაგალითს მაინც, რომ იქნება ეს აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო ხელისუფლება, ხელი შევუშალე საქმიანობის განხორციელებაში. ვერავინ, ვერც ერთ მაგალითს ვერ მომიტანს. ჩვენ ვდგავართ დემოკრატიის მშენებლობის გზაზე. ეს რთული გზაა — როდესაც ამ გზაზე რომელიმე ინსტიტუტი პოლიტიკას დამოუკიდებელ, თავის მანდატის მისედვით ახორციელებს, ეს ხშირად არის აღქმული, როგორც დაპირისპირება, მაგრამ ეს არ არის დაპირისპირება, ეს არის დემოკრატია“, — განაცხადა მარგველაშვილმა.

პრეზიდენტის განმარტებით, დემოკრატია რთულია და ხშირად ცხოვრებაში ძალიან რთული განსახორციელებია, მაგრამ მარგველაშვილი დარწმუნებულია, რომ „ჩვენ ამას ყველანი ერთად შევძლებთ“.

ბიძინა ივანიშვილი:

მთავრობის ყველაზე დიდი გადაცდომა მაღალი პრემიების გამოწერა იყო

ამის შესახებ ბიძინა ივანიშვილი გაზეთ „კვირის პალიტრასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში აცხადებს და განმარტავს, რომ ის, რაც ამ კუთხით სასჯელაღსრულების სამინისტროში მოხდა, მისთვის „ძალიან სტრესული“ იყო.

„ჩემს წინა გამოსვლებში მე ყოველთვის აღვნიშნავდი იმ გადაცდომებს, რაც მთავრობაში იყო და მათზე ვაკეთებდი რეაქციას. იქვე აღვნიშნავდი, რომ საზოგადოება უკვე კარგად ერკვევა და სრულფასოვანი კონტროლი მიდის, თუმცა კონტროლის ხარისხის დახვეწაა საჭირო და ამას საზოგადოება ახერხებს ძალიან კარგად. ყველაზე დიდ გადაცდომად მე ვთვლი ძალიან მაღალი პრემიების გამოწერას და ის, რაც მოხდა სასჯელაღსრულების სამინისტროში, ჩემთვის იყო ძალიან სტრესული და არ მომეწონა. ყველაზე სერიოზულ გადაცდომად მე ამას ვთვლი და საზოგადოებაშიც, მე მგონი, ეს თემა დარჩა“, — აცხადებს ივანიშვილი.

რაც შეეხება ზოგადად აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობას, ყოფილი პრემიერის შეფასებით **— ერთია გადაცდომები, მაგრამ მეორეა, რამდენად სარისხიანად მუშაობს მთავრობა. ჩემი აზრით, ოპტიმალურია შერჩევა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შეიძლებოდა 10-15 %-ით მეტის გაკეთება ან უარესიც, მაგრამ შედარებებს, რასაც აკეთებენ ოპოზიციონერები, მე არ ვეთანხმები. ოდნავ უკეთ შეიძლებოდა ემუშავა მთავრობას, რამეთუ ის წარმოდგენა არ შეგექმნათ, თითქოს მე მას იდეალურად ვახასიათებდე. რა თქმა უნდა, გარკვეულ სამინისტროებზე შეიძლება კონკრეტიკაზე გადავიდეთ და კონკრეტული შენიშვნები, მინიშნებები გავაკეთოთ, მაგრამ მე არ მივიჩნევდი ამას საჭიროდ. ზოგადად ვთვლი, რომ მთავრობა ეფექტურია და განსაკუთრებით ეფექტურია პრემიერ-მინისტრი.**



ბიძინა ივანიშვილის აზრით, პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი მთავრობას, როგორც „კონკურენტს“ განიხილავს და „უნდა მას ხელი შეუშალოს“.

„ინაუგურაციის მეორე თუ მესამე დღესვე, როცა სიტუაციის დალაგება დავიწყეთ და გაუგებრობაში აღმოვჩნდით, ჩვენი პოლემიკის ერთ-ერთი საგანი გახლდათ პრეზიდენტ მარგველაშვილის პოზიცია, რომ ის კონკურენციაში უნდა იყოს მთავრობასთან და პარლამენტთან. ჩვენ ამაზე ძალიან ბევრი დრო დავხარჯეთ და ეს ჩემთვის იყო გაუგებარი. მე მას ვეუბნებოდი, რომ ეს პოზიცია არ არის სწორი, თქვენ უნდა მოხვიდეთ ერთ გუნდად, „ქართული ოცნების“ გუნდი გეხმარებოდა მთელი არჩევნების განმავლობაში, მხარს გიჭერდა, ჯერ არაკორექტულია და მეორეც, კონკურენცია დაგაზარალებთ. თქვენ კონკურენტი გყავთ უმუშევრობის, უამრავი, მათ შორის ტერიტორიული პრობლემის, საგარეო პოლიტიკის და ა.შ. სახით, რომ ეს არის თქვენი კონკურენტი. ხელი-ხელს ჩაკიდეთ, ერთად უნდა იმუშაოთ და არ უნდა იყოს კონკურენცია. საბოლოოდ, მე ჩემს აზრზე დავრჩი, მას კი თავისი აზრი არ შეუცვლია“, — აცხადებს ბიძინა ივანიშვილი

ამასთან, ყოფილი პრემიერი ამბობს, რომ მისთვის პრეზიდენტის ქმედებები გაუგებარია.

„რა შუაშია მთავრობა იმაში, რომ ის პრეზიდენტის სასახლეში შევიდა და გუნდის არც ერთ წევრს არ კითხა მაშინ, როცა იცოდა მათი უარყოფითი განწყობა, თვითონაც უარყოფითი განწყობა ჰქონდა. ვეტოს დადება ძლივს გადაიფიქრა კანონპროექტზე, რომელიც წაკითხული არ ჰქონდა და პროკურატურას „გრიფი“ მთელი თვე არ მოუხსნა, სანამ არ გასავჯაროვდა. რა შუაშია აქ მთავრობა? ის, რომ ერთი თვე არ ხსნი გრიფით „საიდუმლოს“ ელემენტარულ საბუთს და, ამავდროულად, აცხადებ, რომ კონკურენციაში გინდა იყო ხელისუფლებასთან, ეს საბოლოო ჯამში, რა თქმა უნდა, აზარალებს ქვეყანას“, — აღნიშნავს ივანიშვილი.

საქართველო უკვე საპარლამენტო რესპუბლიკაა და კითხვა, თუ ვინ უნდა წავიდეს გაეროში, არ არსებობს, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

„ვნახეთ სია, ვინ ჩავა და გაეროს სხდომას ვინ დაესწრება საპარლამენტო რესპუბლიკებიდან. როგორც წესი, იქ პრემიერები იქნებიან წარმოდგენილები. კითხვა არ არსებობს. ისევ მიდის თანაბარი შედარება და ფონი, უფრო მეტად ისეთია, თითქოს აშავებს პრემიერი და ჩაგრავს პრეზიდენტს, ამ დროს კი, ორჯერ ორი ოთხია — რა თქმა უნდა, იქ წავა მერკელი, რა თქმა უნდა, იქ წავა ნეთანიაჰუ, რა თქმა უნდა, იქ წავა ინგლისის პრემიერი და ა.შ — შეიძლება მხოლოდ ერთი ორი გამონაკლისი იყოს, როცა პრემიერმა ვერ მოიცალა და გადასცა ეს უფლება პრეზიდენტს. ასეთია კონსტიტუცია საპარლამენტო რესპუბლიკაში. ის შეხვედრა, საიდანაც ამან მოწვევა მიიღო, დაბალი დონის შეხვედრაა. სხვათა შორის, კლიმატის გაუმჯობესების სამიტზე შარშან ფანჯიკიძე იყო მიწვეული, თუმცა მასაც წასვლა არ სდომებია — ზალკალიანი უნდა წასულიყო, თუმცა, საბოლოოდ, წავიდა ფანჯიკიძე იმიტომ, რომ სხვა საქმეებიც ჰქონდა, მაგრამ არავის უფიქრია, რომ ჩემთვის ეთქვა ან პრეზიდენტი წასულიყო. ეს არის რეალობა“, — აცხადებს ბიძინა ივანიშვილი.

ყოფილი პრემიერის განმარტებით, ამის მიუხედავად „ეს კაცი„ (პრეზიდენტი) „კონკურენციას აგრძელებს, მაშინ როცა „ერთი ღარიბი ქვეყნიდან აშშ-ში წასვლა ლამაზი არ იქნება“.

„ეს ძალიან მარტივი თემაა საანალიზოდ. სად არის მედია, სად არის ჟურნალისტიკა, სად არიან ისინი, ექსპერტებს რომ ეძახიან საკუთარ თავს, რა უნდა ამის დალაგებას, სადაა კითხვები? განა არ ჩანს, რომ ერთი მხრიდანაა მხოლოდ პრობლემები? განა მარტივი დასანახი არაა, რომ წასვლა პრემიერის პრეროგატივაა და მთავრობამ გადაწყვეტილება უკვე მიიღო. განა ლამაზი იქნება ორი ცალ-ცალკე დელეგაციის წასვლა პატარა, ღარიბი ქვეყნიდან ამერიკაში, მაგრამ ეს კაცი ამას არ დაგიდევს არაფრად და ისევ კონკურენციას აგრძელებს. მას ჰგონია, რომ ეს არის ჯანსაღი კონკურენცია“, — აღნიშნავს ყოფილი პრემიერი.

ივანიშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ კონფლიქტი პრეზიდენტსა და პრემიერს შორის „ნაციონალურ მოძრაობას“ აწყობს. „თან ძალიან აწყობს“.

გიორგი მარგველაშვილი: თავს დაჩაგრულად არ ვგრძნობ

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის განცხადებებზე ვრცელი კომენტარის გაკეთებას არ აპირებს. როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახურში განაცხადეს, მათ პრეზიდენტს ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუ უკვე გააცნეს.

„ეს ინტერვიუ პრეზიდენტს გავაცანი. ერთადერთი რაც მან მითხრა — თავს დაჩაგრულად არ ვგრძნობო“, — განაცხადა პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახურის უფროსმა თიკო მჟავანაძემ.

აქტიურ პოლიტიკაში თქვენი დაბრუნების დროა, ბატონო ბიძინა!

მობრუნებულ სააკაშვილს ყოფილი სჯობს, ნუ ჩაგვტოვებთ უთანასწორო ბრძოლაში!

ცოცხალმა ამოგვაგდო, მკვდარმა კი აგვაოხრაო, ისეა ჩვენი საქმე. არადა არ გვეშვებიან სააკაშვილი და მისი ბანდა,. არც დაჭერა ხერხდება, კბილებით იცავს დასავლეთი, „დემოკრატიის შუქურას“ (ისე აუშენდა ოჯახი). რატომ არ იღებენ ოკეანის გაღმელები პასუხისმგებლობას ქვეყნის დამაქცევარზე. სასტუმრო-კაზინოები და შადრევნები ჰგონიათ ქვეყანა? ნუთუ ძნელი დასანახია ფასადს მიღმა ცრემლიანი საქართველო? შინაური მტერი რომ გარეშეზე უარესია, ჩვენზე უკეთ ვინ იცისI შინაური დამპყრობელი დემოკრატიის ნიღბით ანადგურებს ქვეყანას, და მას გარეული მტერიც უჭერს მხარს, არც ერთ დროს ჩვენი მოძმე, ერთმორწმუნე რუსი გვაკლებს ხელს, შინაური აძლევს საბაბს, და ორივე ერთ საქმეს აკეთებს.

ფრთხილად, ქართველებო! ქართველობა მარტო ეროვნება არაა, ბედისწერაა! სიცოცხლის და თავისუფლების წყურვილის გარდა არაფერი დაგვიტოვა ღმერთმა.

სააკაძის გოდება, ქეთევანის მოთქმა, ერეკლეს ქვითინი აღვიძებს თბილისს, ფრთხილად, ქართველებო!

მტერი არასოდეს გვაკლდა, მაგრამ შინაური მტერი ასე არასოდეს მოგვძალებია, ხაზანბეგი-სააკიანი სააკაშვილი სარფს მოადგა და საიდუმლო „სერობა“ გამართა, **შავბნელი ძალები მის დაბრუნებაზე ოცნებობენ და, თუ ოცნება აუსდათ, მობრუნებული სააკაშვილი ყოფილზე ათჯერ უარესი იქნებაI** ძვირად დაუჯდება ქართველ ხალხს ეს შემობრუნება, შეიძლება სისხლის კალო დატრიალდეს. ერის მოღალატის, ერის თვითმყოფადობის წინააღმდეგ მებრძოლის დანაშაული ვერც ერთ პროკურატურულ ბრალდებაში ვერ ეტევა, მაგრამ სამწუხაროდ, მტკიცებულებები ვერ მოინახა და რაღაც აბსურდული ბრალდებით ასამართლებენ ერის გენოციდის მომწყობს, მკვლელს, მანიაკს!

ისიც ნიშნის მოგებით დღედაღამ „რუსთავი-2“-იდან გვმოძღვრავს. **ამ ტელევიზიას რომ უყურებ, გეგონება, ისევ სააკაშვილის ხელისუფლებაა, ერთი-ორი სახელა არ ჩანს, რატომღაც (სინდისმა შეაწუხა?).**

ეს ხომ ქვეყნის, ხალხის დაცინვაა, მით უფრო სამართალდამცველების – „დიდსა ვერ მოკვლენ, ხელად აქვთ, ხოცვა ნადირთა მცირეთა“. გამოდის თანამედროვე ტირანებისთვის კანონი არ არსებობს და ამას

მხარს უჭერს დემოკრატიული სამყარო, არადა, დასავლეთზე უკეთ არ იცის ქართველობამ, „ნაცებმა“ რა ნაციონალური უბედურება დაატრიალეს ქვეყანაში (სახელიც შენიღბულია-ნაციონალური! რა აქვთ ამათ ქართველის!)? ვის ჩავაბარეთ 10 წელი ძალაუფლება, ძალაც და უფლებაც – აკეთეს ის, რაც უნდოდათ, ხოლო მაგათ რაც უნდოდათ, იცის ქართველმა ერმა, რომელიც გადარჩა, თუმცა, ისევ საფრთხის ქვეშაა – საკაშვილი ამერიკელებისთვის მაინც მათი მამამაძაღლია და ეცდებიან, ბოლომდე გამოიყენონ.

უბედურება ისაა, მის მხარეს არიან ცალკეული მაღალი რანგის მოხელეები და მოღალატეთა – ფარსადან-შადიმანთა რაოდენობა მატულობს. ქვეყნის პრემიერის ირაკლი ღარიბაშვილის – ნაღდი ქართველის წინააღმდეგ გამოსვლა სააკაშვილის გვერდში დგომას რომ ნიშნავს,ეს უნდა იცოდნენ პოზიცია-ოპოზიციაში, სამწუხაროდ, ისინი ტროას ცხენის როლში გამოდიან,თუმცა, ყველაფერს ხედავს ხალხი და ერთ დღეს ისევ დაიძვრება.

რაც შეეხება პოლიტიკურ ვითარებას – ბოლო წლებიდან დღემდე – არც წინა პარლამენტს არჩევნები ყოფილა დიდად ხალხის გულის ნადების გამომხატველი, ხალხმა მხარი ბიძინა ივანიშვილს დაუჭირა და მისი ხათრით მისცა ხმა იმ პარტიებს, რომელთაც ნაკლებად ენდობოდა და ვითომ ევროპელობით და დემოკრატიულობით მოაქვთ თავი. პარლამენტში არც „ნაცები“ ყოფილან ხალხის ნებით არჩეული.შიშით, ტერორით, გაყალბებებით მოვიდნენ ხელისუფლებაში. სამწუხაროდ, ახალი პრეზიდენტიც ოპოზიციაშია და ზოგიერთი მინისტრიც, ასე რომ, „ოცნება“ რეალურად ლამის უმცირესობაშია.

ამას ემატება „ენდიაის“ კვლევები, და ეს მომავალი ღალატის ერთიანი კომპლექსია, და თუ ხალხმა არ ივარგა, არსებობს იმის რეალური საშიშროება, რომ „ნაცები“ ფარულად, ახალი სახეებით დაბრუნდნენ ახალი არჩევნებით.

თანაც საბოტაჟის პირობებში ჭირს ქვეყნის მდგომარეობიდან გამოყვანა. „ოცნებას“ არ უნდა დაავიწყდეს, რომ ხალხი ელოდება სამართლიანობის აღდგენას, ეკონომიკურ წინსვლას. ახლა პრემიების, პირადი კეთილდღეობისთვის ზრუნვის დრო არაა, არც კაზანტიპის და ლიბერასტების დროა!

ასე რომ, ხალხი უკმაყოფილოა და კითხულობს, ვისი ოცნება ასრულდაო?

არადა, „ოცნებას“ აქვს შანსი, ხალხის პარტიად ჩამოყალიბდეს, ეს ხალხის განწყობაა – ებრძოლოს უსამართლობას და ნამდვილად თავისუფალი და დემოკრატიული ქვეყანა ააშენოს. ამიტომ „ოცნებამ“ უნდა გააგრძელოს პარტიული მშენებლობა და ირგვლივ ავტორიტეტიანი, საქმიანი ადამიანები შემოიკრიბოს, ვისთვისაც მთავარია ქვეყანა, მისი მომავალი.

სააკაშვილი ყველაფერს აკეთებს ქვეყნის ასარევად – ამის ფულადი რესურსი და გარე მხარდაჭერაც აქვს, რომ არაფერი ვთქვათ შიდა გამყიდველებზე. იგი მზად არის, მტრის ჯარსაც შემოუძღვეს. ხასანბეგი შემთხვევით არ გვიხსენებია. სააკაშვილი სარფს მოადგა როგორც მოღალატე ხასანბეგი თავდგირიძე, მაგრამ არ ეყო ვაჟკაცობა, აქეთ გადმოსულიყო და თავისი დაკავებული „ძმების“ გვერდით დაეკავებინა ადგილი, თუ ესენი დამნაშავე არიან, მეც დამსაჯეთო.

მაგრამ რომელი ცოტნე ეგ არის, აი, ხასანბეგი კი...

საქართველო თავისი გეოსტრატეგიული მდგომარეობის გამო დიდხანს იქნება საჯილდაო ქვა ორი ძიძის ხელში. დასავლეთი კარგია, მაგრამ რუსეთიც ხომ ანგარიშგასაწევი ძალაა, ლამის მსოფლიო დაიკიდოს ფეხზე, „ნაცები“ ახლაც ვაჭრობენ რუსეთის თემით.

თუ ერი გიყვართ, რატომ არ აგინებთო რუსებს, – გამოცდის წინაშე აყენებენ ხელისუფლებას, რათა იქნებ შეცდომა დააშვებინონ და ახალი ომი ატეხონ, თორემ ამათ ქვეყანა ფეხებზე ჰკიდიათ,

ამათ ხელისუფლება – პირადი კეთილდღეობა აწუხებთ.

ფრთხილად ქართველებო! რუსი რა უბედურებაა, ამას მთელი მსოფლიო ხედავს, მაგრამ „ნაცები“ რომ არანაკლები უბედურებაა, ამასაც კარგად ვხედავთ, რუსი არ ვარგა, მაგრამ შენ ვინ ხარ სააკაშვილო?

დანაშაულებრივი გარემო, რომელმაც დღეს უფრო იჩინა თავი, სააკაშვილის ხელისუფლებამ დაბადა განუკითხაობით, დაუნდობლობით, კორუფციით, ბანდიტობით და მკვლელობებით. ხელისუფლების ამ მაგალითზე გაიზარდნენ უმუშევართა, დანგრეულ, უდედო ოჯახთა შვილები,რომელთა გარყვნაც მოასწრო დალესის პროგრამის აღმსრულებელმა და ამ გარემოს შეცვლას დიდი დრო დასჭირდება.

ბევრჯერ გვითქვამს, **ქვეყანაში, სადაც ძეხვის ქურდობისთვის ბავშვს 7 წელს უსჯიან, ხოლო ქვეყნის დამაქცევარს, მკვლელს და მოღალატე სააკაშვილს ბრალდებას ნ-დან 9 წლამდე უყენებენ, რომელ სამართალზე,კანონზე, მორალზე, წესრიგზე და დანაშაულის და სასჯელის თანაფარდობაზეა საუბარი?I**

ნემსისა და აქლემის ქურდი ორივე ქურდია მაგრამ, ორივეს ერთნაირად როგორ უნდა მიუსაჯო, ან, საერთოდ, როგორ უნდა მიუსაჯო წვრილმანი ქურდობისთვის? თუ ციხეში გამოკეტეთ ამ პატარა ქვეყნის გენოფონდი რაღაც უმნიშვნელო დანაშაულისთვის, ამ ქვეყანას დიდი დღე არ უწერია,რაღაც ხომ უნდა ეპატიოს კაცს და რაღაც კი – მართლაც არა?

ჩვენ კიდევ ერის მოღალატეებს ვპატიობთ და ღვინის და პურის ქურდებს ვიჭერთ, ეს უფრო აბოროტებს ადამიანებს და აძულებს ერთმანეთს.

სააკაშვილის რეჟიმი სასამართლოს მიღმა დარჩა და მისგან გაუბედურებული საზოგადოების ნაწილი მსჯავრდებულია – ეს არის ორსახოვანი საქართველო.

ბატონ ბიძინა ივანიშვილს ჩვენგან არ ესწავლება, რა სჭირს ქვეყანასI კიდევ ერთი დიდგორი წინაა, უნდა გაიწმინდოს პოლიტიკური ველი.

ბატონო ბიძინა, ყველა ნაღდი ქართველი გვერდში დაგიდგებათ ამ ბრძოლაში, რამეთუ ქვეყანა ერთია, – „სამშობლო როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა“.

ხასანბეგი სააკაშვილი სარფს მოადგა

მის უკან დიდი ძალა დგას, ღარიბაშვილი კი მხოლოდ რამდენიმე კაცის და შსს-ს იმედადაა.

ბატონო ბიძინა, ნუ ჩაგვტოვებთ უთანასწორო ბრძოლაში, სააკაშვილის მობრუნებამდე ხომ არ დადგა თქვენი მობრუნების დრო?

ზურაბ აბრალავა,
„საქ. რესპუბლიკის“ საკ. კორ.
ფოთი

◎ კაკალ გულში

● მაინტერესებს პატრულის მიმართვა ისეთი ნომრიანი მანქანებისთვის რომლის კომბინაციაც ერთობლიობაში ასე ულერს:

გადააყენე „ბუასილი“! (BU 100 LI)
გააჩერე „გკოცნი“! (GR 020 NI)
ვერ გევიგე „ილოცე?“ (IL 020 CE)
იმოძრავე „შეფ“!
და ა.შ.

● მაპატიეთ, უბრალოდ „ქართული ოცნება“ჩამოყალიბებული არ იყო, თორემ ნაცებში რა შემიყვანდაო. რაც შეეხება 1 ოქტომბერს დილას ვინ შემოვხაზე, ვიტყვი, რომ საბოლოო შედეგებზე მიშამ მომატყუა, თორემ ნ-იანს კი არ შემოვხაზავდიო, განაცხადა გიგა ბოკერიამ და მეორე დღეს კარგ ადგილას დანიშნეს.

● პან გი მუნს უთქვამს, ერთი ესკორტი გეკუთვნითო და ნიუ-იორკის მეტრომანები რომელ დელეგაციას მიაქვს?

● სამი რამ, რაც გამახსენდა და რასაც რუსეთისგან სიამოვნებით გავიზიარებდი:

წარცილოკანი ფრაზები

1. აიკრძალა არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც საზღვარგარეთიდან ფინასდებოდა (საშენო საქმეს არავინ დაგიფინანსებს);

2. დაიხურა „მაკდონალდსის“ კვების ობიექტები (არ მიყვარს „ძაღლბურგერები“);

3. მიიღო უდროო და უადგილო ხმაურის საწინააღმდეგო კანონი (არც უდროო და უადგილო ხმაური მიყვარს).

● და ეს კლიმატის სამიტი რატო აიჩემა მარგველამ? ამინდსაც მე იმასა ვშვებიო?

● ეს „იზმები“ დაღუპავენ ამ ქვეყანასI ყველა „იზმი“ მარაზმია მაგრამ რამდენიმეს აღვნიშნავდი განსაკუთრებით: პოპულიზმი, ნეიტრალიზმი, შტაინერიზმი... სხვათა შორის ნარცისიზმიც. 15 „იზმი“-ს აქცია-კონკურსი უნდა გამოცხადდეს სასწრაფოდ ფეისბუქის ეგიდით.. სელექცია მაინც გავაკეთოთ ბოლო-ბოლო.

● მაშ ასე, შეკითხვა: რატომ არ შეიძლება რომ პრეზიდენტი და პრემიერი ერთ დელეგაციაში იყვნენ? სავარაუდო პასუხებია : ა) ერთმანეთი არ ევასებათ. 2) საქართველო არ ევასებათ 3) სკამი და ძალაუფლება ვერ გაიყვეს, 4) კონსტიტუცია და კანონი ფეხებზე ჰკიდიათI

P. S. ამის მერე კიდევ სახელმწიფო გადატრიალების სავარაუდო გეგმას აქვეყნებენ და ნაცებს აპიარებენ.

ახლა კითხვა წესიერ საზოგადოებას: არის თუ არა მთავრობის და პრეზიდენტის ქმედებაში კონსტიტუციური წყობის უპატვცემულობა და სახელმწიფო გადატრიალების ნიშნები?

● ვინმემ მიაწვდინეთ იმ სასტავს ხმა, რო მეც მუსლიმანი ვარ – დანარჩენი პრიპასები მაქვს ხალადეცისთვის და ღორის თავი მაკლია....

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ალიანჩალიანი

მიმდინარე კვირას ორი აფთიაქი დაჯარიმდა

როგორც ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, როგორც ქსელური, ასევე არაქსელური აფთიაქების მონიტორინგი მიმდინარეობს.

– საზოგადოების ინტერესიდან გამომდინარე დავიწყებთ გამოქვეყნებას რამდენი პრობლემა იყო ექიმის მხრიდან, რამდენი პრობლემა იყო აფთიაქების მხრიდან. რაც შეეხება არაქსელურ აფთიაქებს, აქაც ვაკეთებთ მონიტორინგს და დღევანდელი რეპორტის მიხედვით მიმდინარე კვირის განმავლობაში ორი აფთიაქი დაჯარიმდა ამ წესების დარღვევისთვის, – განაცხადა მინისტრმა. რაც შეეხება ექიმებს, რომლებიც აფთიაქებთან ახლოს ახლადგახსნილ აფთიაქებში რეცეპტებს შესაბამისი გასინჯვის გარეშე წერდნენ, სერგეენკოს თქმით, მათ სიტყვიერი გაფრთხილება მიეცათ, თუმცა, ამ კუთხით მონიტორინგი გაგრძელდება.

ინტერპრესი

კარლ ბილდტმა საქართველოს მთავრობა PR-სააგენტოს „Kreab“ კლიენტი გახადა, რის შემდეგაც იგი პოლიტიკურად მხარს უჭერდა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს.

გაზეთმა „აფტონბლადეტმა“ დაადგინა, რომ მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში რეჟიმმა კომპანია „Kreab“-ს ჯამში 20 მილიონი კრონი გადაურიცხა.

ბილდტი კორუმპირებულია, — აცხადებს სააკაშვილის მთავრობის ყოფილი მინისტრი გიორგი ხაინდრავა.

როგორც „აფტონბლადეტი“ ადრე იუწყებოდა, „მოდერატების“ პარტიასთან დაკავშირებულმა კომპანიამ „Kreab“ სააკაშვილის მთავრობასთან კონტრაქტი გააფორმა 2006 წელს. კლიენტის მოძებნაზე მაშინ პასუხისმგებელი იყო „Kreab“-ის მაშინდელი თავმჯდომარე კარლ ბილდტი.

„როდესაც იგი „Kreab“-ის თავმჯდომარე იყო, მას იქ კარგი კონტაქტები ჰქონდა“, — აღნიშნა „Kreab“-ის ბრიუსელის ოფისის ხელმძღვანელმა კარლ ისაკსონმა 2012 წელს გაზეთ „აფტონბლადეტთან“ საუბრის დროს.

ისაკსონის თანახმად, „Kreab“ უნდა დახმარებოდა საქართველოს მთავრობას მედიასთან და პოლიტიკოსებთან კავშირების დამყარებაში, „მთავრობა დადებითი სახით უნდა წარმოჩენილიყო მედიაში“.

ის, რამაც კარლ ბილდტიც „გაანათა“

„აფტონბლადეტმა“ „KREAB“-ისთვის საიდუმლო გადარიცხვები გამოამზეურა

ადრე ეს ძალზე საიდუმლო იყო

ამ კონტაქტების დამყარების შემდეგ, ბილდტი მოკლე ხანში სამთავრობო ალიანსის საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა და „Kreab“-ის მმართველი საბჭო დატოვა.

ნოემბერში კონტრაქტი გაფორმდა. გაზეთ „აფტონბლადეტს“ ახლა შეუძლია, გამოამჟღავნოს ის დოკუმენტი, რომლსაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა თავის დროზე ძალზე საიდუმლო გრიფი დაადო. ეს მოიცავს 2006 წლის დეკემბრიდან 2007 წლის დეკემბრამდე საქართველოს მთავრობიდან **„Kreab“-**ისთვის 14 საბანკო გადარიცხვას, ჯამში, 4,5 მილიონი ქართული ლარის ოდენობით, რაც 18 მილიონ კრონზე მეტია. ამ ტრანზაქციებს, რომლებიც ბელგიური ING ბანკის მეშვეობით ბრიუსელში **„Kreab“-**ის ხელმძღვანელთან გეორგ დანელთან ირიცხება, ხელს აწერს მაშინდელი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი.

2008 წელს დანელის მიერ პრემიერ-მინისტრისთვის გაგზავნილი წერილი გვიჩვენებს, რომ ხელშეკრულების თანახმად, **„Kreab“-**ისთვის ყოველთვიურად უნდა გადაერიცხათ ფიქსირებული 1 მილიონი კრონი და ამის გარდა, დამატებითი თანხები „განსაკუთრებული პროექტებისათვის“. **ეს ხდებოდა 2008 წლის იანვრიდან თებერვლამდე, იმ საპრეზიდენტო არჩევნების დროს, რომელზეც ეჭვი არსებობს, რომ გაყალბდა.** წერილის თანახმად, თვიური გადასახადიც უნდა გაზრდილიყო.

მჭიდრო ურთიერთობები

2006 წლის შემდეგ შვედეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობები უფრო მჭიდრო გახდა. გარდა კერძო, არაოფიციალური ვიზიტებისა, ბილდტმა, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა 11 ოფიციალური ვიზიტი გამართა ამ პატარა სახელმწიფოში.

ბილდტი გულმოდგინედ უჭერდა მხარს მიხეილ სააკაშვილს. მას შემდეგ, რაც შვედეთის იმდროინდელმა ელჩმა ჰანს გუნარ ადენმა ანგარიში გაგზავნა სამინისტროში 2008 წლის არჩევნების გაყალბების თაობაზე ეჭვების არსებობის შესახებ, იგი უკან შვედეთში გამოიწვიეს. მაშინ ბილდტმა საკუთარ ბლოგზე დაწერა: „არჩევნების შედეგები კითხვის ნიშნის ქვეშ არ დადგება“. ადენის თანახმად, მოგვიანებით, საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშებში აღნიშნული იყო, რომ არჩევნების დროს ადგილი ჰქონდა ხარვეზებს.

გიორგი ხაინდრავა პარლამენტის წევრი იყო და ორჯერ ეკავა მინისტრის პოსტი საქართველოს მთავრობაში. ბოლოს, 2008 წელს, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დროს იგი იყო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში. იმავე წელს მან თანამდებობა დატოვა და სააკაშვილის რეჟიმს დაუპირისპირდა.

ხაინდრავა „აფტონბლადეტთან“ საუბრის დროს აღნიშნავს, რომ მას გაგონილი ჰქონდა **„Kreab“-**ის კონტრაქტის შესახებ, ხოლო, იმ დროს სახელმწიფო ადმინისტრაციაში ქრთამი ყოველდღიურობა იყო.

„ეს ძალზე დიდი თანხაა საქართველოსნაირი პატარა და ღარიბი სახელმწიფოსთვის. ეს იმაზე გაცილებით მეტია, ვიდრე ამერიკულმა ლობისტურმა ორგანიზაციებმა მიიღეს ხუთი წლის განმავლობაში. ამ თანხის გათვალისწინებით, უნდა დაისვას კითხვა, სინამდვილეში რისთვის გადაიხადა სააკაშვილის მთავრობამ ეს ფული. რა სამუშაო შეასრულა „Kreab“-მა?“

ხაინდრავა იქვე აღნიშნავს, რომ ბილდტი საერთაშორისო ასპარეზზე „სააკაშვილს ზურგს უმაგრებდა“ და უარყოფდა 2008 წლის არჩევნების გაყალბებას, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო დამკვირვებლებს ამაზე განგაში ჰქონდათ ატეხილი.

„მე მჯერა და, ფაქტობრივად, ვამტკიცებ, რომ კარლ ბილდტი ჩართული იყო პოლიტიკურ კორუფციაში, როცა იგი მიხეილ სააკაშვილის ჯიბეში იმყოფებოდა და ნაწილობრივ, ეს მოხდა საქართველოს მთავრობასა და „Kreab“-ს შორის სარფიანი, საიდუმლო ხელშეკრულების მეშვეობით.“

ბილდტი უარყოფს დაქირავებას

ბილდტმა „აფტონბლადის“ კითხვებს ელფოსტით უპასუხა:

— რამ განაპირობა, რომ 2006 წელს საქართველო „Kreab“-ის კლიენტად აიყვანეთ?

— ეს მე არ გამიკეთებია. ამის თაობაზე არანაირი საუბარი არ მქონია არც საქართველოსთან და არც **„Kreab“-**თან.

— ახლად გამოქვეყნებული დოკუმენტების თანახმად, „Kreab“-ს 2006 წლის დეკემბრიდან 2007 წლის დეკემბრამდე სულ მცირე 18 მილიონი კრონა გადაუხადეს. ეს თანხა აჭარბებს იმას, რაც საქართველოს მთავრობამ ამერიკულ PR-სააგენტოებს გადაუხადა ხუთი წლის განმავლობაში. რატომ მიაჩნდა საქართველოს „Kreab“-ის მომსახურება ასე ძვირფასად?

— ეს კითხვა შეგიძლიათ მათ დაუსვათ. მე ამის შესახებ არაფერი არ ვიცი, რადგანაც მე იმ პერიოდში არავითარი შეხება აღარ მქონდა **„Kreab“-**თან. ამის შესახებ პასუხის მიღება **„Kreab“-**თან შეგიძლიათ.

— თქვენს ბლოგზე მხარს უჭერდით სააკაშვილს, მაგალითად, როდესაც დაწერეთ, რომ 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები „არ იდგა კითხვის ნიშნის ქვეშ“. ადენმა სახელმწიფო მდივნისგან გაიგო, რომ თქვენ უკმაყოფილო იყავით მისი ანგარიშით, რამეთუ მასში ეჭვი იყო შეტანილი არჩევნების გაყალბებაში. მოგვიანებით საერთაშორისო დამკვირვებლები ანგარიშებში საუბრობდნენ არჩევნების გაყალბებაზე. რატომ გსურდათ ყურადღების გამახვილება იმაზე, რომ არჩევნების შედეგები კითხვის ნიშნის ქვეშ არ იდგა?

— მე იგივე ვთქვი, რაც საერთაშორისო დამკვირვებლებმა დაასკვნეს. რა თქმა უნდა, არჩევნები არ ყოფილა უნაკლო, მაგრამ ეს სხვა საკითხია. რაც შეეხება ადენს, ეს სულ სხვა ისტორია იყო.

— ყოფილი მინისტრი გიორგი ხაინდრავა ამტკიცებს, რომ თქვენ პოლიტიკურად კორუმპირებული ხართ, რომ „ყოველთვის სააკაშვილის ჯიბეში იყავით“ და რომ კორუფცია ნაწილობრივ იმის საშუალებით მოხდა, რომ იცავდით „სარფიან კონტრაქტს „Kreab“-სა და საქართველოს მთავრობას შორის“. რას იტყვით ამის შესახებ?

— ამის თაობაზე კომენტარი უკვე გავაკეთე. იგი (ხაინდრავა) ეკუთვნოდა უკომპრომისო ოპოზიციას სააკაშვილის წინააღმდეგ, შესაძლოა, ამის გამოც საუბრობს იგი ამაზე. მისი გაბრაზება გამოწვეულია იმით, რომ მე, ისევე როგორც სხვები ევროკავშირსა და აშშ-ში, ვაკრიტიკებთ მთავრობას ყოფილი პრეზიდენტის წინააღმდეგ სასამართლო სისტემის გამოყენების გამო. ამან გამოიწვია თავდასხმები, მათ შორის, ჩემ მიმართაც. აქვე შეიძლება დავამატოთ, რომ საქართველოს ოფიციალურმა წარმომადგენლებმა პირად საუბარში გამოხატეს წუხილი ამ განცხადებების გარკვეული ნაწილის გამო.

„KREAB“: ყველაფერი ჩვენთან არ მოდიოდა

„Kreab Gavin Andersson“-ის უფროსი პარტნიორი გეორგ დანელი 2006 წელს „Kreab“-ის ხელმძღვანელი იყო ბრიუსელში. დანელი, ისევე როგორც ისაკსონი, არ ეთანხმება კარლ ბილდტის განმარტებას, რომ იგი არ ყოფილა ჩართული საქართველოს კლიენტად აყვანაში:

„ჩვენ საერთაშორისო მასშტაბით ვმუშაობთ. რასაკვირველია, ბილდტი ჩართული იყო ამ სამუშაოში იმ ფუნქციებით, რაც მაშინ გააჩნდა. იგი სახელიანი ადამიანია. იგი ჩვენი საბჭოს თავმჯდომარე იყო, თუმცა, დაგვტოვა, როდესაც მთავრობაში შევიდა.“

დანელმა თავდაპირველად განაცხადა, რომ 2 მილიონის ოდენობის ტრანზაქციები სიმართლეს არ შეესაბამება.

„ციფრები მცდარია“

თუმცა, როდესაც მას დოკუმენტები წარუდგინეს, განაცხადა, რომ მთელი ფული „Kreab“-ში არ მიდიოდა.

„ჩვენ გვევალებოდა, თანხა სხვა კომპანიებისა და კონსულტანტებისთვისაც მიგვეცა. თქვენ მკითხეთ, რამდენი მივიღეთ ჩვენ. ეს თანხა გაცილებით ნაკლებია დასახელებულ თანხასთან შედარებით.“

— ტრანზაქციები ხომ თქვენს სახელზე ხორციელდებოდა?

— **„Kreab“-**ის სახელზე, შემდგომ ჩვენ ვანაწილებდით საქართველოსთვის სასურველ კონსულტანტებზე, რომლებიც ჯგუფში შედიოდნენ და დახმარებას გვიწევდნენ.

დანელმა არ მოისურვა ამ კონსულტანტების დასახელება:

— არ არის იმის თქმის საჭიროება.

— რატომ არ რიცხავდნენ ფულს პირდაპირ იმ დანარჩენ ორგანიზაციებზე?

— მათთვის უფრო მარტივი იყო, რომ ერთი კომპანია ყოფილიყო.

— გესმით, თუ რატომ ისმება კითხვები კორუფციასთან დაკავშირებით?

— ეს აბსურდია. ეს იყო დიდი პროექტი დროის პატარა მონაკვეთში, აქ ბევრი მხარე იყო ჩართული, ხოლო კლიენტი იყო სახელმწიფო. ამის საფუძველი საერთოდ არ არსებობს, ხოლო კარლ ბილდტი არ მონაწილეობდა მოლაპარაკებებში. იგი უკვე აღარ იყო ჩვენს კომპანიაში.

— ნაწილობრივ, თქვენი მისია იყო პოლიტიკური კონტაქტების ხელშეწყობა, ბილდტი კი პარალელურად პოლიტიკურ დონეზე მუშაობდა.

— იგი არ მუშაობდა პარალელურად. როდესაც იგი მთავრობის წევრი გახდა, მან ჩვენ დაგვტოვა. მას არასდროს მიუღია მონაწილეობა კლიენტთან მოლაპარაკებებში. იგი არასდროს შედიოდა რომელიმე ორგანიზაციაში, სადაც მმართველ საბჭოს სრული კონტროლი აქვს, არასდროს ჰქონია პასუხისმგებლობა რომელიმე პროექტზე.

* * *

მომდინარე წლის ივლისში საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა „უფლებამოსილების გადაჭარბების“ ბრალდებით, რაც გულისხმობს 2007 წელს, რეჟიმის შიგნით კორუფციის წინააღმდეგ მიმართული დემონსტრაციების ძალადობით ჩახშობას, პოლიციის შესვლას და იმ ტელევიზიის დახურვას, რომელიც ოპოზიციის ლიდერების განცხადებებს ავრცელებდა. იგი ასევე ეჭვმიტანილია 2008 წელს საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბებაში.

http://www.aftonbladet.se/nyheter/article19502468.ab

ლიზა როსტლუნდი.

„აფტონბლადეტ“

„მე მჯერა და, ფაქტობრივად, ვამტკიცებ, რომ კარლ ბილდტი ჩართული იყო პოლიტიკურ კორუფციაში, როცა იგი მიხეილ სააკაშვილის ჯიბეში იმყოფებოდა და ნაწილობრივ, ეს მოხდა საქართველოს მთავრობასა და „Kreab“-ს შორის სარფიანი, საიდუმლო ხელშეკრულების მეშვეობით.“

გადამტრიალებლები და გამნეიტრალებლები

ანუ გადატრიალების საფრთხე პრესის ფურცლებიდან

საძართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ალექსანდრე ჭიკაიძის თქმით, სახელმწიფო ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად შეთქმულების მზადების საქმეზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. ინტერვიუში, რომელიც გაზეთ „ალიაში“ 10 სექტემბერს გამოქვეყნდა, შინაგან საქმეთა მინისტრი, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, კონკრეტული დეტალების გასაჯაროებისგან თავს იკავებს, თუმცა, ამბობს, რომ ექს-პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ქვეყანაში ქაოსის შესაქმნელად სპეციალური გეგმის განხორციელებას აპირებდა.

„ალიასთან“ ინტერვიუში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე ამბობს, რომ მიხეილ სააკაშვილის გეგმა ითვალისწინებს შეიქმნას კარგად ორგანიზებული 500-კაციანი მობილური ჯგუფი, რომელიც, თავის მხრივ, ცალკეულ მობილურ ჯგუფებად დაიყოფა. ამ ჯგუფებს, შინაგან საქმეთა მინისტრის ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, ევალებათ იმოქმედონ პროვოკაციულად, მათ შორის, პოლიციის თვალწინ; ეცადონ, მოახდინონ პოლიციის პროვოცირება, შექმნან ფორსმაჟორული სიტუაციები, მოაწყონ აგრესიული საპროტესტო აქციები სხვადასხვა თემის მანიპულირებით, როგორიცაა: კრიმინოგენური ვითარება, სოციალური და ეკონომიკური საკითხები, რუსეთთან ურთიერთობები. ამავე გეგმაში, მინისტრ ჭიკაიძის განცხადებით, შედის დევნილთა პრობლემების გამოყენება, სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებზე გაფიცვების პროვოცირება და, ზოგადად, ნეგატიური ფონის შექმნა როგორც ქართველ საზოგადოებაში, ისე უცხოურ მედიასა და დიპლომატიურ წრეებში.

ალექსანდრე ჭიკაიძის განცხადებებს რადიკალურად განსხვავებულად აფასებენ ხელისუფლებასა და ოპოზიციაში. შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გასაჯაროებული ინფორმაცია სარწმუნოა მისი კოლეგებისთვის, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებისთვის, რომელთაც 10 სექტემბერს მთავრობის სხდომის შემდეგ გაკეთებული კომენტარების მიხედვით, ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულების მზადების შესახებ, საზოგადოების დარად, თავადაც „ალიას“ საგაზეთო ინტერვიუდან შეიტყვეს. იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი **სოზარ სუბარი** ამბობს, რომ ალექსანდრე ჭიკაიძე განცხადებებს ჰაერზე არ აკეთებს: **„ნაციონალური მოძრაობა“ დღეს კი არა, ხელისუფლებაში როცა იყო, მაშინაც დესტაბილიზაციის მეტს ვერაფერს აკეთებდა. ბუნებაში აქვთ გამჯდარი, დესტაბილიზატორები არიან ყველანი — თვითონ განცხადებით, ქმედებით და ყველაფრით. რაც შეეხება ჭიკაიძის განცხადებას, ჭიკაიძე ასეთ განცხადებებს ჰაერზე არ აკეთებს, მას აქვს ინფორმაცია და, შესაბამისად, ეს განცხადებაც იმ ინფორმაციებზე დაყრდნობითაა გაკეთებული“.**

სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში **ალექსი პეტრიაშვილი** კი, თავის მხრივ, ხაზს უსვამს სახელმწიფო ინსტიტუტების გამართულ მუშაობას, როგორც იმის გარანტიას, რომ ქვეყანაში ქაოსის შექმნა შეუძლებელია: **„ვერავინ ვერაფერს ვერ შეძლებს ქვეყანაში დესტაბილიზაციის კუთხით, ვინაიდან გამართულად მუშაობს ყველა ინსტიტუცია, მათ შორის, განსაკუთრებულად მინდა, მადლობა გადავუხადო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პირად შემადგენლობას და მის ხელმძღვანელობას, ვინაიდან ისინი ყველაფერს აკეთებენ, რომ ქვეყანაში იყოს სტაბილური კრიმინოგენური ვითარება და იყოს ზოგადად სტაბილურობა და უსაფრთხოება“.**

ინტერვიუში კი, რომელიც გაზეთმა „ალიამ“ გამოაქვეყნა, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე ამბობს, რომ მიხეილ სააკაშვილის გეგმას განხორციელება არ უწერია და ვინც ანტიკონსტიტუციური გზით წავა და ქვეყანას საფრთხეს შეუქმნის, კანონის წინაშე უმკაცრესად დისჯება. ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციად კი, რომელსაც გეგმის ნაწილის განხორციელება დაევალა, მინისტრი არასამთავრობო ორგანიზაცია **„თავისუფლების ზონას“** ასახელებს: **„თავისუფალი ზონის“ წევრებს მიეცათ დავალება, სასწრაფო დახმარების ექიმებისგან მიიღონ ინფორმაციები პიროვნების გარდაცვალების შესახებ და ეს გაალამა მთავრობამ შეუზღუდა მოსახლეობას სასწრაფოს გამოძახება და ეს არის ამის შედეგი. ამ გზით სურთ ნეგატიურად წარმოაჩინონ ის რეგულაციები, რაც მთავრობამ მიიღო სასწრაფოს რეფორმირებისთვის“.**

„თავისუფალი ზონის“ გამგეობის თავმჯდომარე **გელა ვასაძემ,** ამ ბრალდების საპასუხოდ, ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ მსგავსი გეგმა ორგანიზაციას არ ჰქონია, თუმცა, მადლობელია მინისტრის, რომ უკარნახა თემა და სფერო, რომლის მონიტორინგიც აუცილებელია. რაც შეეხება ინტერვიუში ალექსანდრე ჭიკაიძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, გელა ვასაძე ამბობს: **„თვითონ ორგანიზაციაში ეგ ყველაფერი აღიქმება იუმორით, მაგრამ სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს. საკვანძო მინისტრი აძლევს ინტერვიუს ყვითელ გაზეთს და, ბოდიში და, ბოდავს, იქიდან გამომდინარე, რომ დესტაბილიზაციის ფაქტორი თუ არის სამოქალაქო საზოგადოების და სამოქალაქო თავისუფლებების დაცვა, საზოგადოებას გავაცნოთ ის პრობლემები, რომლებიც არსებობს ქვეყანაში, მაშინ ჩავთვალოთ ეს დესტაბილიზაციად“.**

გელა ვასაძე დასძენს, რომ „თავისუფალი ზონა“ არის საქართველოში პირველი ინტერაქტიული ქსელური ორგანიზაცია, რომლის მიზანი ქვეყანაში არსებული პრობლემების გამოაშკარავება და საჯარო დისკუსიის საგნად ქცევაა. ორგანიზაციისთვის საქმიანი რეპუტაციის შელახვის გამო გელა ვასაძე ალექსანდრე ჭიკაიძის წინააღმდეგ ჩივილს აპირებს. ალექსანდრე ჭიკაიძის განცხადებებს, თავის მხრივ, აბსურდულად მიიჩნევენ „ნაციონალურ მოძრაობაშიც“. ორგანიზაციის ლიდერები, მათ შორის, **სერგო რატიანი** დარწმუნებულია, რომ ყოფილი პრეზიდენტის ეგრეთ წოდებული შეთქმულების გეგმის არსებობაზე საუბრით მინისტრს თავისი წარუმატებლობის გადაფარვა სურს: **„საქართველოში შექმნილია ვითარება, როდესაც კრიმინოგენური ვითარება აწეულია, ისინი ვერ აკონტროლებენ ამას. საზოგადოება შეშფოთებულია და ამ დღეებში არაერთი განცხადება იყო გაკეთებული არა მხოლოდ ჩვენ მიერ, არამედ არასამთავრობოების მიერაც. ყველა აღშფოთებულია და ახლა ამ პრობლემის გადაფარვა ზღაპრების, საბურავების, შეთქმულებისა და სხვა საკითხებით, უბრალოდ... უბრალოდ. ეს ვერ გადაფარავს“.**

თუ ალექსანდრე ჭიკაიძის ინტერვიუს დაკვუბრუნდებით, მასში მინისტრი აღნიშნავს, რომ მიხეილ სააკაშვილმა ეგრეთ წოდებული ქაოსის გეგმის შესახებ კონკრეტული დავალებები „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერებს კიევსა და თურქეთში ჩატარებულ თათბირებზე მისცა. ექსპერტი პოლიტიკურ საკითხებში **ვაჟა ბერიძე** ამბობს, რომ გამორიცხული არაფერია: **„მიხეილ სააკაშვილისგან ყოველთვის ყველაფერს შეიძლება ელოდეს ხალხიც და ქვეყანაც. ჩვენ ვიცით, რომ ეს არის არათანმიმდევრული, რისკიანი, იმპროვიზაციის დიდი უნარით დაჯილდოებული პოლიტიკოსი, რომელიც ავანტიურის შედეგებზე, შეიძლება ითქვას, არასოდეს არ ფიქრობს“.**

პოლიტიკური ექსპერტი **თორნიკე შარაშენიძე** კი ფიქრობს, რომ რადენიმე ფაქტორის კომბინაცია არასასიამოვნო ფონს ქმნის:

„მიანიშნებს შემდეგ უარყოფით მომენტებზე: პირველი ის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ეშინია 500-კაციანი ჯგუფის, რომ არ მოაწყოს გადატრიალება. ეს თავისთავად მოასწავებს მის სისუსტეს, შინაგან საქმეთა სამინისტროსი, და, მეორე, რა აუცილებელია ამის დაანონსება. თუ არსებობს ამის საფრთხე, ადექი და გაანეიტრალე, გამოიყვანე შემდეგ დამნაშავეები და აჩვენე მოსახლეობას“.

შინაგან საქმეთა მინისტრის ალექსანდრე ჭიკაიძის თანახმად კი, საქმეზე გამოძიება დაწყებულია.

ნონა მჭედლიშვილი,
რადიო „თავისუფლება“

საქართველო და უკრაინა: ალიანსში ერთსულოვნება არაა?

ნატო ვალდებულია კოლექტიურად დაიცვას საგარეო სამხედრო შემოჭრისაგან მხოლოდ ალიანსის წევრები. ბევრი ევროპელი პოლიტიკოსისათვის უკანასკნელ ხანებში ეს პრინციპი არის საბაბი — ამოისუნთქონ მშვიდობით. უკრაინა რომ ნატოს წევრი ყოფილიყო, ყირიმის ანექსიას სავსებით შეეძლო მივეყვანეთ დასავლეთის პირდაპირ სამხედრო კონფლიქტთან რუსეთთან.

ამ დროს უკრაინისა და საქართველოს წევრობა სამხედრო ბლოკში განიხილებოდა ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ. 2008 წელს ბუქარესტში ნატოს სამიტის დროს შესაბამისი გადაწყვეტილებისათვის აქტიურად გამოდიოდა ჯორჯ ბუშ უმცროსის ადმინისტრაცია. მაგრამ ევროპის მთელმა რიგმა ქვეყნებმა, მათ შორის, გერმანიამაც, უკვე მაშინ გამოხატა შეშფოთება, რომ ეს მიგვიყვანს რუსეთთან ურთიერთობაში დაძაბულობასთან. ამას გარდა, როგორც ევროპარლამენტში, ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის საგარეო პოლიტიკის ექსპერტი მიხაელ გალერი აღნიშნავს, მაშინ ალიანსში შესვლისთვის მხარი არ დაუჭერია უკრაინელთა უმრავლესობას. ექსპერტის სიტყვებით, ელოდებოდნენ, რომ ამგვარი თავშეკავებისათვის რუსეთი გადაიხდის სამაგიეროს „შესაბამისი ქცევით“.

აშშ მხარს უჭერს საქართველოს შესვლას ნატოში

თბილისში, 7 სექტემბერს ვიზიტის დროს, ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა ჩაკ ჰეიგელმა განაცხადა, რომ ვაშინგტონს განზრახული აქვს კვლავაც დაუჭიროს მხარი საქართველოს ევროატლანტიკურ ალიანსში წევრობის იდეას. ამას გარდა, ამერიკის შეერთებულ შტატებში განიხილავენ თბილისის მიერ სამხედრო შვეულმფრენების შესყიდვის შესაძლებლობას.

საქართველოსა და უკრაინას შორის ძნელი არაა გავავლოთ პარალელები. რუსეთის ჯარების შეყვანას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში 2008 წელს ბევრი განიხილავს, როგორც 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის წინაპირობას. 2008 წელსაც ამან პროტესტების ტალღა გამოიწვია, მაგრამ შედეგად დასავლეთი მაინც არ ჩარეულა ამ საქმეში და მალე, როგორც ჩანს, შეურიგდა ახალ სიტუაციას.

უკრაინაში კონფლიქტის დაწყების შემდეგ როგორც დემოკრატმა რობერტ მენენგესმა, ამერიკის შეერთებული შტატების სენატის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელმა, ისე სენატორმა, რესპუბლიკელმა ჯონ მაკკეინმა გამოთქვეს აზრი უკრაინის არმიისათვის შეიარაღების მიწოდების შესახებ. მაგრამ, დასავლეთევროპელი პოლიტიკოსების მოსაზრებით, ამგვარი ნაბიჯი შეიძლება გახდეს პუტინისთვის საბაბი სამხედრო შეჭრისათვის.

სამხედრო ბლოკის ეჭვი პუტინს ხელს აძლევს

ამრიგად, აზრი ალიანსში შუად გაიყო: ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობას არ სურს, მოახდინოს რუსეთის პროვოცირება, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები და აღმოსავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნები სხვა აზრისა არიან. მათი მოსაზრებით, თავის დროზე უკრაინის წევრობას ნატოში შეიძლებოდა შეეკავებინა პუტინი ყირიმის ანექსიისაგან.

როგორც როლანდ ფროიდენშტაინი, უშიშროების საბჭოს ექსპერტი ბრიუსელში ევროპელ მკვლევართა ცენტრიდან, მიიჩნევს, ჯერ კიდევ 2008 წელს ეჭვებმა ნატოში პუტინს რწმენა შეჰმატეს. ალიანსს რომ მიეღო გადაწყვეტილება თბილისთან თანამშრომლობის გაფართოების შესახებ, რუსეთის აგრესიის ალბათობაც შეიძლებოდა შემცირებულიყო, მიაჩნია ექსპერტს.

ფროიდენშტაინი უკვე ამჟამად მხარს უჭერს უკრაინის სამხედრო მხარდაჭერის შეზღუდვას. მისი აზრით, რუსეთს არ გააჩნია „შეუზღუდავი შესაძლებლობები“ საბრძოლო მოქმედებების წარმოებისათვის, და თუ „გავაძლიერებთ დანახარჯებს აგრესიისათვის“, კრემლში შეიძლება იფიქრონ მისი აუცილებლობის შესახებ.

ნატოსა და ევროკავშირს ახალი აღმოსავლური პოლიტიკა სჭირდებათ

როგორც ფროიდენშტაინი, ისე გალერი, უარს აცხადებენ აღიარონ რუსეთისთვის რაიმე ზეგავლენის სფერო, რისი არსებობის შესახებაც საუბრობს ბევრი დასავლელი პოლიტიკოსი. ექსპერტების აზრით, ყოველ ქვეყანას აქვს უფლება აირჩიოს თავისი მოკავშირე, ამიტომ ნატო უნდა დარჩეს ღიად ორივე ქვეყნისათვის.

გალერის სიტყვებით, საქართველოს და უკრაინის ნატოში შესვლის პირობად უნდა იყოს ამ ქვეყნების მოსახლეობის მიერ ამ იდეის უპირობო მხარდაჭერა, აგრეთვე ალიანსის ყველა მოქმედი წევრის თანხმობა. ამ უკანასკნელის შესახებ ჯერჯერობით საუბარი არაა, მაგრამ სამხედრო ბლოკის წევრების პოზიცია დამოკიდებული იქნება იმაზე, „თუ როგორ ექნებათ რუსეთთან მომავალში მათ საქმე“, მიაჩნია გალერს. მისი აზრით, პუტინის დროს საქართველოს და უკრაინის შესვლა ნატოში ნაკლებად სავარაუდოა.

მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ დასავლეთმა არაფერი არ უნდა გააკეთოს, აღნიშნავს ორივე ექსპერტი. „ნატოს და ევროკავშირს ახალი აღმოსავლური პოლიტიკა სჭირდებათ“, მიაჩნია ფროიდენშტაინს. ევროკავშირმა უნდა გააფართოოს მხარდაჭერა სამოქალაქო საზოგადოებისათვის და განამტკიცოს ურთიერთობა ქვეყნებთან ვაჭრობის, სტიპენდიალური პროგრამებისა და სავიზო რეჟიმის შემსუბუქების დახმარებით. ნატომ კი, თავის მხრივ, უნდა განავითაროს სამხედრო თანამშრომლობა ბლოკის წევრების ფარგლებს გარეთაც, „მოსწონს ეს კრემლს, თუ არა“.

დეპუტატი გალერი ასევე აუცილებლად მიიჩნევს თანამშრომლობის შემდგომ გაფართოებას სამოქალაქო და სამხედრო სფეროში. მაგრამ ამავე დროს იგი ხაზგასმით აღნიშნავს დიალოგის გაგრძელების აუცილებლობას ევროკავშირსა და რუსეთს შორის. მისი აზრით, ევროპამ უნდა შეინარჩუნოს ინტერესი დიალოგისადმი, რომელსაც რუსეთთან აწარმოებენ უკრაინა, საქართველო და მოლდოვა.

DW-WORLD.DE
DEUTSCHE WELLE

დანართი №1 (2 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2014 წლის „11 სექტემბრის“
№ ს-528 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	245444844
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კოსმახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10
3	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
4	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
5	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქედის მუნიციპალიტეტის, სოფ. დოლოგანის მიმდებარე ტერიტორია, „მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება“. მე-VII უბანი (კატეგორია-P, მოსაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 30 300 მ³)
6	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. დოლოგანი.
7	აუქციონის საწყისი ფასი	3 270 ლარი
8	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	527 ლარი
9	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	3 200 ლარი
10	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 12 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 14 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე
11	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 14 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 14 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე
12	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
13	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

დანართი №1 (2 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2014 წლის „11 სექტემბრის“
№ ს-529 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	245444844
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კოსმახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10
3	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
4	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
5	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქედის მუნიციპალიტეტის, სოფ. დოლოგანის მიმდებარე ტერიტორია, „მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება“. მე-VIII უბანი (კატეგორია-P, მოსაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 30 000 მ³)
6	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. დოლოგანი.
7	აუქციონის საწყისი ფასი	5 217 ლარი
8	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	521.7 ლარი
9	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	3 200 ლარი
10	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 12 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 14 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე
11	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 14 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 14 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე
12	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
13	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

დანართი №1 (2 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2014 წლის „11 სექტემბრის“
№ ს-530 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	245444844
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კოსმახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10
3	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
4	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
5	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქედის მუნიციპალიტეტის, სოფ. დოლოგანის მიმდებარე ტერიტორია, „მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება“. (კატეგორია-P, მოსაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 81 300 მ³)
6	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. დოლოგანი.
7	აუქციონის საწყისი ფასი	14 139 ლარი
8	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1413.9 ლარი
9	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	7 200 ლარი
10	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 12 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 14 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე
11	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 14 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 14 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე
12	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
13	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

დანართი №1 (2 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2014 წლის „11 სექტემბრის“
№ ს-531 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	245444844
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კოსახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10
3	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
4	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გაცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
5	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის, სოფ. კირნათი. მიმდებარე ტერიტორია. „მდ. მაჭახელასწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება". (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 26 700 მ³)
6	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. კირნათი.
7	აუქციონის საწყისი ფასი	4 644 ლარი
8	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	464,4 ლარი
9	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	2 200 ლარი
10	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 12 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 14 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე
11	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 14 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 14 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე
12	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
13	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

დანართი №1 (2 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2014 წლის „11 სექტემბრის“
№ ს-532 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	245444844
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კოსახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10
3	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
4	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
5	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ხულოს მუნიციპალიტეტის, სოფ. ჭერის მიმდებარე ტერიტორია, „მდ. სხალთის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება". (კატეგორია-P, მოსაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 12 000 მ³)
6	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭერი.
7	აუქციონის საწყისი ფასი	2 087 ლარი
8	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	208,7 ლარი
9	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	1 200 ლარი
10	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 12 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 14 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე
11	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 14 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 14 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე
12	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
13	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

დანართი №1 (2 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2014 წლის „11 სექტემბრის“
№ ს-533 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	245444844
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კოსახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10
3	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
4	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
5	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ხულოს მუნიციპალიტეტის, სოფ. პაჭაძეების მიმდებარე ტერიტორია, „მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება". (კატეგორია-P, მოსაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 11 400 მ³)
6	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფ. პაჭაძეები.
7	აუქციონის საწყისი ფასი	1 983 ლარი
8	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	198,3 ლარი
9	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	1 200 ლარი
10	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 12 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 14 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე
11	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 14 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 14 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე
12	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
13	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ირაკლი მენაღარიშვილი:

მაღალი დონის საერთაშორისო ფორუმზე ერთი სახელმწიფოდან ორი დელეგაციის ერთდროულად ჩასვლა ნონსენსია

უკრაინის კრიზისის გამო საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილი ვითარების შესახებ, საძართველოს უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე „ინტერპრესნიუსი“ საძართველოს საგარეო საძმეთა ეძს-მინისტრს, სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრის თანათავმჯდომარეს ირაკლი მენაღარიშვილს ესაუბრა.

— ბატონო ირაკლი, რუსეთის მიერ ჯერ ყირიმის ანშლიუსმა, ხოლო შემდეგ უკრაინის აღმოსავლეთში საომარი მოქმედებების გაჩაღებამ, დასავლეთსა და რუსეთს შორის უკიდურესად დაძაბა ურთიერთობა და საერთაშორისო ურთიერთობებში კლიმატი მნიშვნელოვნად შეცვალა. ექსპერტთა უდიდესი ნაწილის შეფასებით, მსოფლიოში, რუსეთის ინიციატივით, ახალი გადანაწილებისათვის ომი პრაქტიკულად დაწყებულია. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირმა რუსეთს არაერთი საკმაოდ მძიმე ეკონომიკური სანქცია დაუწესა, რუსული პროპაგადა არ ცხრება იმის მტკიცებითა და ტირაჟირებით, რომ გერმანია და ზოგი ევროპული ქვეყანა ამერიკის დიქტატისგან გათავისუფლების გზას დაადგნენ. მოკლედ, უკრაინულმა კრიზისმა რომ მსოფლიო პოლიტიკაში სერიოზული რყევები გამოიწვია, ფაქტია. უკრაინის აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენების, ახლო აღმოსავლეთში ისლამისტების გააქტიურების, ვაშინგტონსა და თეირანს შორის ურთიერთობების გარკვეული დათბობისა და აშშ-ის ინიციატივით ირანისათვის ეკონომიკური სანქციების მოხსნის პირობებში, თქვენ როგორ შეაფასებდით საერთაშორისო ურთიერთობებში არსებულ ვითარებას?

— თუ შევეცდებით, მოკლედ შევაფასოთ შექმნილი ვითარება, ალბათ, ყველაზე მართებული იქნებოდა გვეთქვა, რომ მსოფლიოში მკვეთრად გაიზარდა გაურკვევლობის დონე. არსებული საერთაშორისო წესრიგის ერთ-ზია კარგა ხანია, დაწყებულია. ზოგიერთ რეგიონში, მაგალითად პოსტსაბჭოთა სივრცეში უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში საერთაშორისო ინსტიტუტების საქმიანობა სერიოზულად შეიზღუდა, მაგრამ ყველაფერი ეს მაინც ლოკალურ მოვლენებად ითვლებოდა. ახლა კი, მკვეთრად გაიზარდა იმგვარი მოვლენების რიცხვი, რომელთაც ასე მარტივად ვეღარ მოვიაზრებთ, როგორც — იზოლირებულს. რა თქმა უნდა, მსოფლიოს განსაკუთრებული ყურადღების საგანი ორი მათგანია: რუსეთის აგრესია უკრაინის წინააღმდეგ და ახლო აღმოსავლეთში ექსტრემისტული ისლამური ორგანიზაციის გააქტიურება. „ისლამური სახელმწიფო“ — ეს თვისობრივად ახალი ფენომენია. იგი არც „ალ-ქაიდას“ მსგავსი ტერორისტული ინტერნაციონალია და არც ეროვნული ჩარჩოებით შემოფარგლული ისლამისტური წარმონაქმნი. მას ისლამური სახალიფოს აღორძინების პრეტენზია აქვს. რაც მთავარია, მან უცებ შექმნა სერიოზული სამხედრო პოტენციალი და მოიზიდა ძალები მთელი მსოფლიოდან. ამით სერიოზული საფრთხე შეექმნა არა მხოლოდ რეგიონის სტაბილურობას.

ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის გახლავთ ის, რაც მიმდინარე წლის 1 მარტიდან ხდება უკრაინაში. რუსეთმა სრულიად ღიად, მე ვიტყოდი, ოფიციალურადაც კი, დაიწყო უკრაინის წინააღმდეგ ღია აგრესია, რითაც საერთაშორისო ურთიერთობების ფუნდამენტურ პრინციპებს არღვევს. რუსეთის აგრესიული ქმედების პირველი მსხვერპლი იყო ყირიმი, რომლის ანექსია მოხდა იმ საბაბით, რომელიც ძალიან ჰგავს ფაშისტური გერმანიის მიერ მეორე მსოფლიო ომისას არაერთხელ გამოყენებულ თეზისს. მას მოჰყვა ომი უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთში, რაც დღემდე გრძელდება და, რომლის მიზანი უდავოდ არის უკრაინაში იმგვარი კერის ჩამოყალიბება, რომელიც რუსეთმა საქართველოსა და მოლდოვაში გაყინული კონფლიქტების სახით შექმნა მოახერხა. ყველა ამ მოვლენამ რუსეთში აგრესიული ნაციონალიზმის გაუგონარი აღზევება გამოიწვია. თუ ვინმე უბრალოდ შეეცდება და თვალს გადაავლებს, თუ რა ხდება რუსულ მედიასაშუალებებში, სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად თუ კერძო მფლობელობაში მყოფ მედიაში, დაინახავს, რომ ეს არის არა მხოლოდ ანტიუკრაინული პროპაგანდა, არამედ იმპერიული დემაგოგიის ბაკქანალია.

უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ამ პროცესმა ახალი ასპექტებიც შეიძინა. გაისმა მუქარა მოლდოვის, ბალტიის სახელმწიფოების და თვით ყაზახეთის წინააღმდეგაც კი. ყველაფერი ეს, უდავო ნიშნებია იმისა, რომ რუსეთმა პრაქტიკულად უარი თქვა თავის შეკავებაზე ნებისმიერი, აქამდე არსებული ბარიერის წინაშე. ამით იგი საშიში გახდა. ძნელი სათქმელია, სადამდე მიგვიყვანს ეს მოვლენები, თუ მათ საერთაშორისო თანამეგობრობა არ აღუდგა წინ.

— გასულ კვირაში დასრულდა უელსის ნატოს სამიტი. ალიანსის სამიტს პასუხი უნდა გაეცა რუსეთისათვის უკრაინაში წარმოებულ პოლიტიკაზე. სამიტის პოლიტიკურ და სამხედრო ასპექტებზე სხვადასხვა, ხშირად დიამეტრალურად განსხვავებული შეფასებები გაკეთდა. თქვენი აზრით, რამდენად ადეკვატური პასუხი გასცა ბრიუსელმა და ვაშინგტონმა კრემლს უკრაინაში საერთაშორისო სამართლის პრინციპების უხეშად და უტიფრად დარღვევისათვის?

— ევროკავშირისა და ნატოს პასუხი გარკვეულწილად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ვფიქრობ, რომ ნატომ პრაქტიკულად გააკეთა იმის მაქსიმუმი, რაც მას არსებულ სიტუაციაში შეეძლო. სამიტის ერთ-ერთი წამყვანი თემა უკრაინა გახლდათ. ის მწვავე კრიტიკა, რომელიც სამიტზე რუსეთის მისამართით გაისმა, სერიოზულად აისახა სამიტის დეკლარაციაში. რუსეთის ქმედება შეფასებულია სრულიად უკანონო და ყოვლად გაუმართლებელ სამხედრო ინტერვენციად. გარდა ამისა, ნატომ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმაც დაგეგმა. მიღებულია გადაწყვეტილება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ნატოს სამხედრო ინფრასტრუქტურის განლაგების თაობაზე. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ნატომ ახალი, წევრი სახელმწიფოების დასაცავად სპეციალური ერთობლივი საექსპედიციო შენაერთის შექმნის შესახებ მიიღო გადაწყვეტილება. იგი უნდა შეიქმნას და გაიწვრთნას იმისათვის, რომ სწორედ რუსეთის შესაძლო აგრესიულ მოქმედებას უპასუხოს ამ რეგიონში.

ევროკავშირმა აშშ-სთან ერთად რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების უკვე ორი პაკეტი აამუშავა. ამან რუსეთში გარკვეული პრობლემები შექმნა, მაგრამ თუ დასავლეთის რეაქციას უკრაინის მოვლენებზე ზოგადად შევაფასებთ, ვერ ვიტყვით, რომ იგი სიტუაციის ადეკვატურია. მიღებული ზომები სრულიად არასაკმარისია რუსეთის აღვირახსნილი მოქმედების მოსათოკად.



საბოლოო კრიტერიუმი, რითაც დასვლეთის რეაქციის ეფექტი შეიძლება შეფასდეს, შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი რამ — შეძლებს თუ არა დასავლეთი, აღკვეთოს რუსეთის აგრესია, დაახევინოს მას უკრაინის საზღვრებიდან. ჯერ ამისგან ძალიან შორს ვართ. ამიტომ, ჩვენც იძულებული ვართ ვაღიაროთ, რომ დასავლეთის რეაქცია არასაკმარისია. როგორც ჩანს, დასავლეთმა რუსეთთან საუბარი ჯერ კიდევ ვერ ისწავლა.

ამ დროს კი რუსეთი ჩვენთვის, ქართველებისთვის კარგად ცნობილ ხრიკებს მიმართავს. მაგალითად, ზუსტად უელსის სამიტის გახსნისათვის ხელი მოეწერა მინსკის ოქმს, რომელსაც, ღრმადა ვარ დარწმუნებული, სხვა ფუნქციებთან ერთად ერთი ფუნქციაც ჰქონდა — ალიანსისთვის შეექმნა ილუზია, თითქოს საქმე მოწესრიგებისკენ მიდის. სხვათა შორის, ამას გარკვეული ეფექტი ჰქონდა კიდეც. 8 სექტემბერს უნდა გამოქვეყნებულიყო ცნობა რუსეთის მიმართ ევროკავშირის მესამე დონის ეკონომიკური სანქციების შესახებ, მაგრამ, როგორც ეტყობა, გადაიდო. ძნელი სათქმელია, რამდენი ხნით. შესაძლოა, ჩვენი საუბრის დასრულებამდე იგი მიღებულიც იქნას. მაგრამ, თავად ფაქტი, რომ ეს პროცესი დამუხრუჭდა, ნიშანდობლივია. რუსეთმა ევროპულ ქვეყნების რიგში ბზარის შეტანა შეძლო.

თუ ნათქვამს შევაჯამებთ — დასავლეთი ჯერ ვერ ახერხებს რუსეთის აგრესიული ქმედებების შეჩერებას. ვნახოთ, რა მოხება უახლოეს დღეებში. მოვლენები ძალიან სწრაფად ვითარდება.

— როგორ შეაფასებდით საქართველოსთან მიმართებაში მიღებულ გადაწყვეტილებებს, ნატოს მიერ საქართველოსთვის შეთავაზებულ გაძლიერებული თანამშრომლობის პაკეტს, ჩვენთან ნატოს საწვრთნელი ბაზის გახსნის პერსპექტივას?

— რაც ნატოს სამიტმა საქართველოსთან დაკავშირებით გადაწყვიტა, მოსალოდნელი იყო. ამაზე მუშაობა მიმდინარეობდა და საზოგადოებას ამის თაობაზე ინფორმაცია ჰქონდა. ის, რომ გადაწყვეტილება მიიღეს და რომ ნატო ახალი ფორმატითა და პროგრამით დაიწყებს მუშაობას საქართველოსთან, უდავოდ მისასალმებელია. ეს სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯია. ამასთან ერთად, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს ნატოს ვალდებულებას, უზრუნველყოს საქართველოს უსაფრთხოება. ამიტომ, მთელ საზოგადოებას, მთელ პოლიტიკურ ელიტას კიდევ მოუწევს დაძაბულ რეჟიმში მუშაობა. უკრაინასთან რუსეთის დაპირისპირება ერთმნიშვნელოვნად მეტყველებს იმაზე, რომ მოსკოვი აქტიურად შეუდგა თავისი სტრატეგიული გეგმის რეალიზაციას და მიზნის მისაღწევად არაფერს ერიდება. ეს სერიოზულად ზრდის რისკებს საქართველოსათვის. ასე რომ, მტკიცე ნერვები და სერიოზული დაფიქრება ყველა ნაბიჯის წინ კვლავ რჩება ცხოვრების წესად.

— ოპოზიცია ხელისუფლებას უკრაინის საკითხში მკაფიო პოზიციის დაუფიქსირებულობას საყვედურობს. მეტიც, წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნების აზრით, ხელისუფლება საერთაშორისო ასპარეზზე ერიდება კრემლის ღიად კრიტიკას, არაფერი გაუკეთებია იმისათვის, რომ მსოფლიოს უკრაინისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემები ერთ კონტექსტში აღექვა. თქვენი აზრით, რამდენად მართებულია ოპოზიციის მხრიდან ხელისუფლების ამგვარი კრიტიკა? და კიდევ, რამდენად ადეკვატურია ხელისუფლების მიერ მოსკოვის მიმართ, თუ შეიძლება ასე ითქვას — „დაბალ ხმაში“ წარმოებული პოლიტიკა?

— ასეთი განცხადებები უსამართლო და უსაფუძვლოა. დიახ, შეიძლებოდა უკრაინის მოვლენებზე რეაგირებისას უფრო მწვავე ტერმინების გამოყენება, შეიძლებოდა რეაქცია უფრო სწრაფად ყოფილიყო, მაგრამ ის, რაც გაკეთდა და მიიღწა, ამგვარი დასკვნის გაკეთების საფუძველს არ იძლევა. საქართველოს პოზიცია სრულიად მკაფიო და ნათელია. ეს დადასტურდა პარლამენტის, პრეზიდენტისა და საგარეო უწყების განცხადებებით. იმ სამუშაოს გათვალისწინებით, რომლის შესახებ ცნობები პრესაში ყოველთვის ვერ მოხვდება, საქართველოს მიერ დასავლეთისათვის ამ საერთო კონტექსტის ახსნის მიზნით გაწეული სამუშაოს შედეგი გახლდათ ის, რომ ნატოს უელსის სამიტზე სწორედ ამგვარად იყო რუსეთის მოქმედება შეფასებული, რამაც თავისი ასახვა ჰპოვა სამიტის დეკლარაციაშიც. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ჩვენი საქმე დავასრულეთ. ჩვენს სტრატეგიულ მოკავშირეს — უკრაინას მხარდაჭერა კვლავაც სჭირდება ყველა იმ შესაძლო ფორმით, რაც საქართველოს ძალუძს.

რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს, მასზე კამათი დიდი ხანია, მიდის. ვფიქრობ, მიუხედავად ამ კამათისა, თვით ამგვარი პოლიტიკის შედეგი სახეზეა. ქვეყანას აქვს საშუალება, განახორციელოს თავისი სტრატეგიული არჩევანი. ჩვენ ხელი მოვაწერეთ ევროკავშირთან ასოცირების დოკუმენტებს, სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა ნატოს სამიტზე ალიანსთან დაახლოებისათვისაც. უბრალოდ ეს ყველაფერი, ნაკლები ხმაურით გაკეთდა, ვიდრე წარსულში ხდებოდა. საქართველოს რუსეთთან, როგორც ბრძანეთ, „დაბალ ტონში“ საუბრით მის მიერ გაცხადებული საგარეო კურსის განხორციელებაში ჯერ არაფერი წაუგია.

— გაეროს ასამბლეაზე პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის გამგზავრება-არგამგზავრების თემა აქტუალური ამავე თემაზე პრეზიდენტისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების მიერ გაკეთებული განცხადებების გამო გახდა. მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ კი ბრძანა, რომ ამ თემაზე პრეზიდენტთან უელსში ექნებოდა კომუნიკაცია, მაგრამ სამიტის შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის დავით ზალკალიანის მიერ გაკეთებულმა განცხადებებმა ცხადყო — საგარეო უწყება პრეზიდენტისაგან გადაწყვეტილების შეცვლას იმ მოტივით ცდილობს, რომ „საქართველოს არა აქვს ფუფუნება, გაეროს ასამბლეაზე ორი უმაღლესი დონის ლიდერი იყოს წარმოდგენილი“., „გაეროს ასამბლეის ისტორიაში არ არის არც ერთი შემთხვევა, როდესაც ერთი ქვეყნის ორი ლიდერი ყოფილიყო წარმოდგენილი“, და ეს „ძალიან სერიოზული დამაზიანებელი ფაქტორი იქნება ჩვენი ქვეყნის საგარეო იმიჯისთვის“. თქვენ როგორ შეაფასებდით, ამ საკითხში წარმოქმნილ უხერხულობას? და რამდენად დიდია ალბათობა, რომ, რაც ამ თემას უკავშირდება, ქვეყნის იმიჯს სერიოზული ზიანს მიაყენებს?

— ჩვენი ინტერვიუს მიზანი საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე თანამშრომლობის საკითხებზე საუბარი გახლდათ. რაც შეეხება ამ ინციდენტს, თუ შეიძლება ასე ვუწოდებდი, მას საგარეო პოლიტიკასთან და საერთაშორისო ურთიერთობებთან არავითარი კავშირი არა აქვს. ეს, საერთოდ არ არის დიპლომატიის თემა. ეს არის ქვეყნის ინსტიტუციური მოწყობის ხარვეზების გამოვლინება, რომელიც, რაც შეიძლება სწრაფად უნდა აღმოიფხვრას.

რა თქმა უნდა, მაღალი დონის საერთაშორისო ფორუმზე ერთი სახელმწიფოდან ორი დელეგაციის ერთდროულად ჩასვლა ნონსენსია. მაგრამ, ამ საკითხის მოგვარება სამუშაო კონსულტაციების საგანი უნდა იყოს და, ამ თემაზე კამათს საგარეო ურთიერთობებთან საერთო არაფერი აქვს.

კობა გენდელიანი

◎ სათამაშო ბიზნესი

ალჩუ თუ თოხანი?

მეორე რეგულაცია, რომელიც იქნებ პირველზეც უპირველესი იყოს!

ნებისმიერი პაექრობა, მტრული დაპირისპირება თუ სპორტული შეჯიბრი, რეალური, ვთქვათ, ძალაუფლებრივი, სოციალური თუ პოლიტიკური სტატუსის ამაღლების გარდა, აზარტის უდიდეს იმპულსსაც შეიცავს, რაც, ზოგჯერ იქნებ სხვა მამოძრავებელ ძალებზე მძლავრიც იყოს. ამდენად, აზარტი, გნებავთ ნადირობის დროს, კაცობრიობის ოდითგანვე თანდაყოლილი თვისებაა, მაგრამ აზარტული თამაშების გაჩენისა და ფართოდ გავრცელების თარიღის დანამდვილებით ვერავინ დაასახელებს. იმ უხსოვარი დროიდან მოყოლებული, როცა ქვეყანაზე სხვადასხვა ტიპის თამაში გაჩნდა — მათ შორის, ბანქოს, დომინოს, დოღის უამრავი ნაირსახეობა, ლატარიები, ნარდი და სხვა, ტექნიკურ პროგრესს ბევრი სხვაც მოჰყვა — ეგრეთ წოდებული „რულეტკა“, ფულზე სათამაშო ავტომატები, ტოტალიზატორები, რომელთა თამაში ახლა უკვე სახლიდან გაუსვლელადაც კი შეიძლება ინტერნეტის საშუალებით. სათამაშო ინდუსტრია კი, რომლის „ტაძრები“ სამორინეებია, მასში დატრიალებული ფულისა და მეპატრონეებისთვის მოტანილი შემოსავლით, იარაღის, ნარკოტიკების, ენერგოშემცველების, პროსტიტუციის, ადამიანებით ვაჭრობის, ტრეფიკინგის და სხვა მსგავს „ბიზნესებთან“ ერთად, პირველ ათეულშია.

არის ქვეყნები, რომლებშიც აზარტული თამაშების ინდუსტრია, რომ იტყვიან, ყვავის, ზოგან იგი მხოლოდ ცალკეულ ზონებში, ან ქალაქებშია ნებადართული, ზოგან კი, სულაც, აკრძალულია. ჩვენს სამეზობლოში რუსეთში, აზერბაიჯანში, თურქეთში, ისრაელსა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებიდან რუსეთში, უკრაინაში, უზბეკეთში, ყირგიზეთსა და ტაჯიკეთში სამორინეები აკრძალულია, სამაგიეროდ, ნებადართულია ბელარუსში.

რაც შეეხება სომხეთს, იქ სამორინეების მოღვაწეობა მომავალი წლიდან შეიზღუდება. სათამაშო დაწესებულებები მხოლოდ საკურორტო ქალაქებში ცახკაძორში, სევანში, ზოგიერთ სხვაში იქნება. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ სომხეთში სათამაშო დაწესებულების გახსნა მაინც ნებისმიერ ადგილზეა შესაძლებელი, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი ინვესტიცია 100 მილიონ დოლარს აღემატება! საქართველოში, როგორც ცნობილია, აზარტულ თამაშებს არანაირი შეზღუდვა დაწესებულ არა აქვს. მეტიც: აზარტული თამაშების ინდუსტრია ეროვნულ ეკონომიკაში იმდენად მნიშვნელოვან პოზიციას იკავებს, რომ ცოტა ხნის წინათ საგანგებოდ აღინიშნა, რომ **ეკონომიკის ზრდის ტემპის ბოლოდროინდელი შენელება სათამაშო ბიზნესში სახსრების ბრუნვის შემცირებას უკავშირდება და ისიც ითქვა, რომ ამ სფეროში რეგულაციების ლიბერალიზაცია საქმეს წაადგებოდა.**

საბანკო და სამშენებლო სფეროებთან ერთად, აზარტული თამაშების ბიზნესი ქართული ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი დარგია, თუმცა კი, ჯერ კიდევ შარშან პარლამენტს თითქოს მისი აკრძალვის საკითხი უნდა განეხილა. დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტთან საგანგებო ჯგუფიც კი შეიქმნა, რომელსაც საკანონმდებლო რეგულაციები უნდა შეემუშავებინა, თუმცა, საკითხი მას არც ერთხელ არ განუხილავს(?!). ამდენად, დარგის შემდგომ განვითარება-გაფართოებას ჯერ-ჯერობით წინ არაფერი უდგას, სათამაშო ბიზნესის წამოსაწყებად მხოლოდ ლიცენზიაა საჭირო. ქვეყანაში სამორინეების ადგილმდებარეობები არანაირად რეგლამენტური არ არის, განუხრელად იზრდება მათი, ავტომატების სათამაშო დარბაზების, ტოტალიზატორების ოდენობა, მატულობს თამაშების სახეობათა და მოთამაშეთა რიცხვი. რაც შეეხება ონლაინ-თამაშებს, ისინი საერთოდ ყოველგვარ კონტროლსაა მოკლებული, ამდენად, მოთამაშეებს შორის უამრავი არასრულწლოვანიცაა.

საკითხთან დაკავშირებით ექსპერტი დემურ გიორხელიძე აღნიშნავს, რომ ქვეყანაში ასეთი ვითარება მხოლოდ სათამაშო ბიზნესის ძლიერი ლობის წყალობითაა შესაძლებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა მისი ასე თავის ნებაზე მიშვება.

— რეგულაციების შემოღება, რომელთა მსგავსი ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში მოქმედებს, ძალიან მარტივად შეიძლება, მაგრამ, რაც ხდება ყოველივე მიზანდასახულად ხდება, — აღნიშნავს დემურ გიორხელიძე. მისი აზრით, სათამაშო ბიზნესი უფრო ოფიციალურად დაკანონებული ძარცვის ფორმაა, რომელიც გარკვეული სათანადო ზონების გარდა, ქვეყანაში საერთოდ არ უნდა არსებობდეს, ხოლო იქ, სადაც დაშვებული იქნება, მკაცრ ჩარჩოებში უნდა იყოს მოქცეული. ეს, უწინარესად, სამორინეებისა და ტოტალიზატორების სასწავლო დაწესებულებიდან გარკვეული დაცილებას, არასრულწლოვანთათვის მისი მიუწვდომელობასა და ა. შ. უნდა შეეხოს. განსაკუთრებით კი ეს ონლაინ-თამაშებს ეხება, რომლებზეც საერთოდ არანაირი რეგულაცია არ ვრცელდება, რამდენიმე პოპულარულ ვებგვერდს კი (ევროპაბეთს, აჭარაბეთს, სხვებს) ყოველდღიურად ათიათასობით დაუდგენელი ასაკის მოთამაშე სტუმრობს. ონლაინ-სამორინეები ყოველი ასეთი ვიზიტორისგან თავის პროცენტს იღებენ და ხელსაც გვარიანად ითბობენ. ზოგადად კი იმის თქმა შეიძლება, რომ ონლაინ-სამორინეები ჩვეულებრივი სამორინეებისგან არსებითად არაფრით განსხვავდებიან, იქიდან მოგებაშერჩენილი კაცი კი, არა თუ საქართველოში, მსოფლიო მასშტაბითაც კი თითებზე ჩამოსათვლელია.

თანაც გასათვალისწინებელია აზარტული თამაშების ბიზნესის სრულიად უნიკალური, ასე ვთქვათ, „ეროვნული თავისებურება“: **თუ სხვა ქვეყნებში სამორინესა და მოთამაშეს შორის მოგების ალბათობა, პროცენტული ანგარიშით, პროპორციით 70/30-ზეა, საქართველოში ეს მაჩვენებელი, შესაბამისად, 99,9/0,1-ზეა.** ამდენად, სათამაშო ბიზნესის ყაჩაღური ბუნების ახსნა-განმარტება, ვფიქრობთ, სრულიად ზედმეტია.

ისე, კაცმა რომ თქვას, რამდენადაა კავშირში ეროვნული ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელება სათამაშო ბიზნესთან, როგორც ამას ბატონი ნოდარ ხადური აცხადებს, ძნელი სათქმელია, რადგან მოგებასთან შედარებით სამორინეები შეუდარებლად ცოტა გადასახადს იხდიან. ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით, სათამაშო ბიზნესის ტემპი ასეთია: **ერთია აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების, სამროინეების მოწყობის ნებართვის ერთჯერადი მოსაკრებელი, რომელსაც საქმიანობის დაწყების მომენტისთვის იხდიან (ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე იგი 5 მილიონი ლარითაა განსაზღვრული, ბათუმის, ქობულეთის, ბორჯომისა და ყაზბეგის ტერიტორიის ფარგლებში იგი 250 ათას ლარს შეადგენს, ხოლო წყალტუბოს რაიონის ტერიტორიაზე სამორინეს მოწყობის მოსაკრებელი დაწესებული საერთოდ არ არის), მეორე კი თავად სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი, რასაც წელიწადში ოთხჯერ, ანუ კვარტალში ერთხელ იხდიან და რისი ოდენობა სათამაშო მაგიდების რიცხოვნობაზეა დამოკიდებული და 15-30 ათასი ლარის ფარგლებში მერყეობს.**

უნდა აღინიშნოს, რომ, თუ სათამაშო ბიზნესის დაბეგვრის ევროპულ, მაგალითად, ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის, ბელგიის, სხვათა პრაქტიკას გადავხედავთ, ეს ციფრები ნამდვილად ძალიან მცირეა. საქმე ის არის, რომ, **ფაქტობრივად ყველგან, სამორინეების დაბეგვრის პროცენტი სამორინეს წლიური მოგებისდა მიხედვით მიმდინარეობს და, საშუალოდ, 15-50 პროცენტის ფარგლებში მერყეობს, ზოგან კი (მაგალითად, გერმანიაში) იგი სულაც 60 პროცენტს აღწევს.** ამასთან, ძალიან მნიშვნელოვანია სამორინეების განთავსების ადგილები, მათი სკოლებიდან, უმაღლესი სასწავლებლებიდან, საყდრებისგან დაშორება, ასევე რეკლამის სხვადასხვა სივრცეში განთავსების საკითხები, რომლებიც საქართველოში, ფაქტობრივად, სრულიად უგულებელყოფილია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ სათამაშო სფერო საქართველოში სასწრაფო მიხედვას საჭიროებს თუნდაც ორი მიზეზის გამო: ერთია საშემოსავლო, მეორე კი, ასე ვთქვათ, „ზნეობრივი“ რეგულაცია, და ეს მეორე, ვფიქრობთ, ჩვენი მომავლისთვის იქნებ პირველზე უფრო მნიშვნელოვანიც იყოს.

ოთარ ტურაბელიძე

◎ 12 სექტემბრის სევდა

დღე, როცა ვერ მოკლეს ილია!

„ილია ბარ!“ — ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები ამ ქვეყნად! გარეწრებმა, ერის მტრებმა 12 სექტემბერს წიწამურთან სიცოცხლეს გამოასალმეს „ერის მამად“ შერაცხილი, ნიადაგ მშობელი ქვეყნის უკეთეს მერმისზე მაფიქრალი ილია ჭავჭავაძე!

„ილია ვარ!“

„ამიტომაც გკლავთ!“ — იყო გარეწრების პასუხი.

107 წელი გასულა...

ილიას მამულიშვილობა, ილიას ერისკაცობა, ილიას მხატვრული თუ პუბლიცისტური შემოქმედება საგზლად მოჰყვება თაობებს, თუ ვინმე ირგებს ამ საგზალს, ერსაც არგია მისი საქმე. ზოგს კი თავისი „ოფოფები“ ჰყავს, თუმცა, „ილიელობას“ კი იჩემებს.

ეეეეე... ახლა რა ვთქვათ?.. რით გავაკვირვოთ „ბედნიერი ერის“ ავტორი?..

გავაკვირვოთ იმით, თუ როგორ „ვერ ძოვენ“ ერთად საქართველოს პრემიერი და პრეზიდენტი, თუ როგორ ვერ „გაუყვიათ“ უცხოეთში ვიზიტად მიმოსვლა და, საერთოდ, როგორ ვცხოვრობთ! რაც დღესდღეობით გვჭირს, როგორ წარმოიდგენდა ამას ილია?! გვჭირს და, მეტი არა?! როგორ შევხედოთ ილიას სურათს, როგორ ვიფიქროთ ილიას ანდერძის აღსრულებაზე?! ფაქტია, რომ „შავ დღეში“ ვართ!

თუმცა, იმდენი პატივისცემა კი შეგვრჩა, რომ სახელოვან წინაპარს, მეტადრე, ილია ჭავჭავაძეს, სამაგალითოდ მოვეფეროთ.

ილია ყველასია, ილია სამაგალითოა, სადაც საჭიროა, იქ საკადრისად აღინიშნება კიდეც „ილიას დღე“, **ჰოდა, თბილისის საკრებულოს ეგიდით ახალგაზრდული შემოქმედებითი გაერთიანება „ეროვნული იმპერატივი“ დღეს — ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დღეს — მართავს საჯარო ღონისძიებას, საყოველთაო მსვლელობას — „დღე, როცა ვერ მოკლეს ილია“.**

დაგეგმილია ბევრი ღირსშესანიშნავი ღონისძიება, რითაც ჩვენს დიდ წინაპარს კიდევ ერთხელ მიაგებენ პატივს. მაგალითად, წიწამურიდან დაიწყება მსვლელობა თბილისამდე, ილიას მემორიალურ მუზეუმთან გაიმართება ლიტერატურული კომპოზიცია, სიონის ტაძარში გადაიხდიან პარაკლისს ილიას სახელზე, გაიმართება თეატრალიზებული წარმოდგენა მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოვაწეთა პანთეონში და ასე შემდეგ... ამ პროექტის მხარდამჭერია საქართველოს საპატრიარქო!

...ხოლო, საპატრიარქო ლოცულობს ჩვენზე, საპატრიარქო ლოცულობს ყველა იმ დიდ წინაპარზე, რომლებმაც კეთილი კვალი დააჩნიეს ერის წინსვლას, ხოლო ამათგან, უპირველესი ილია ჭავჭავაძე იყო!

დღეს უამრავი ქართველი სანთელს დაუნთებს მის ხსოვნას! ილიას გზას მივყვეთ, ქართველებო!

ვილენ მარდალეიშვილი

◎ წერილი რედაქციას

„უპირველესად ვაღმერთებ ქართველს“...

როდემდე უნდა ვექცეოდეთ უდიერად ქართულ ენას? ნუთუ გვრცხვენია, რომ ქართველები ვართ? ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ცნობილი ქართველი პოეტი მურმან ლებანიძე წერდა — **„უპირველესად ვაღმერთებ ქართველს, და მერე ვისიც რამდენი მმართებს...“** ნუთუ არა ვართ ღირსი იმისა, რომ სასტუმროებს, სუპერმარკეტებს, დაწესებულებებს ქართულ ენაზე „ღმერთებისა და პოეზიის“ ენაზე გავუკეთოთ წარწერები? მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში უპირატესობას არ ანიჭებენ უცხო ენას. კანადაში, კვებეკის პროვინციაში, სადაც ფრანგულენოვანი მოსახლეობა ცხოვრობს, ფრანგულ ენაზე წარწერები განსაკუთრებით მოზრდილი შრიფტითაა, შედარებით მომცროთი — ინგლისურად. ზოგიერთ ქვეყანაში სხვა ენაზე ვერც ერთ ფირნიშს ვერ ნახავთ. მთლად ასეთ უკიდურესობაშიც ნუ გადავარდებით, მაგრამ არამარტო შენი მშობლიური ენის პატივისცემა, არამედ საქართველოს კანონმდებლობაც ითხოვს, რომ წარწერები ქართულ ენაზე გაკეთდეს.

თბილისის მეტროპოლიტენში ვაგონს მარტო ინგლისურად აწერია „მეტრო თბილისი“, მით უმეტეს, რომ მაღაზიებისგან განსხვავებით, ისედაც ნათელია, რომ ეს მეტროს ვაგონია და არა სხვა რამ. ამის შესახებ „საქართველოს რესპუბლიკა“ ამ ერთი წლის წინათაც წერდა, მაგრამ... ყურადღება არავის მიუქცევია! იქნებ მიიღოს მხედველობაში ეს ახლადარჩეულმა მერმა, ბატონმა დავით ნარმანიამ და საკითხი დროულად გადაწყვიტოთ.

თენგიზ თომაძე,
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი

◎ ახალი ხილი

ქადარიას ბრინჯაო

Red Bull King of the Rock ერთი-ერთზე ქუჩის კალათბურთის (სთრითბოლის) ჩემპიონატი მეხუთე წელიწადია ეწყობა. აქამდე მისი ფინალი ყველაზე ცნობილი ამერიკული ციხის - ალკატრასის ეზოში ტარდებოდა, რომელიც ასევე „კლდის“ სახელითაა ცნობილი. წლეულს მსოფლიო ფინალმა აზიის ტერიტორიაზე გადაინაცვლა და ფინალისტებმა The King of the Rock — ჩემპიონის ტიტულისთვის სამასანას კუნძულზე მოიყარეს თავი. ვახტანგ ქადარია საქართველოს ოფიციალური შესარჩევი ეტაპის 2013-2014 წლების გამარჯვებულია. შარშან ის სან-ფრანცისკოში მსოფლიო ფინალზე გაემგზავრა, სამი რაუნდი მოიგო და მეოთხედფინალში ესპანეთის ჩემპიონ სერხიო დე ლა ფუენტესთან დამარცხდა — 10:12. წლეულს საქართველოს ჩემპიონატის ფინალი რაბათის ციხის ტერიტორიაზე გაიმართა, ქადარიამ შეჯიბრება მეორედ მოიგო და ტაივანსაც ეწვია. 26 ქვეყნის 32 წარმომადგენელი იბრძოდა პირველობისთვის. ქართველმა კალათბურთელმა პირველ მეტოქეს 7:0 სძლია, მე-2 რაუნდში 2013 წლის ამერიკელ ჩემპიონს — ტეირონ უილიამსს აჯობა 8:5. ვახტანგმა მეოთხედფინალი 12:6 მოიგო, ნახევარფინალი კი 37 წლის თურქ კივანკ დინლერთან დათმო — 4:6. ჩემპიონატში სწორედ დინლერმა გაიმარჯვა, ჩვენი თანამემამულე კი მესამე პრიზიორი გახდა.

გივი გაგუა

◎ ნიჩბოსნობა

შვიდი ქართველიც იასპარეზებს

„ოლიმპიური იმედი“ — ასე ჰქვია 1997-1999 წლებში დაბადებულ ნიჩბოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებას, რომელიც სლოვაკეთის ქალაქ ბიეშტამში 12-14 სექტემბერს გაიმართება. პირველობისთვის მსოფლიოს 32 ქვეყნის წარმომადგენლები იბრძოლებენ. მონაწილეთა შორის შვიდი ქართველიც იქნება. 1999 წელს დაბადებულთა შორის ერთადგილიანი კაიაკით დუშელი მანანა ჯიქურაული იასპარეზებს. იგი უფროს დასთან — ნინოსთან ერთად ორადგილიანი კაიაკით 1998 წელს დაბადებულებში მოსინჯავს ძალებს. ორადგილიანი კაიაკით გამოვლენ დუშელები — რუსუდან ჯიქურაული და თეონა შაბურიშვილი. ცხადია, ისინი ერთადგილიანი კაიაკითაც გაეჯიბრებიან თანატოლებს.

ვაჟებში ერთადგილიანი კაიაკით იასპარეზებს მცხეთელი გიორგი ოგბაიძე. კანოეში ორი 16-წლიანი გვეყოლება — ფოთელი მურმან მალანია და დუშელი მარიამ ქერდიკაშვილი. ტურნირზე გასამგზავრებლად ახალგაზრდა სპორტსმენები ფოთის მერიამ, მცხეთისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებმა დააფინანსეს. 1998 წელს დაბადებული ნიჩბოსნები გაისად 18-წლამდელთა მსოფლიოს და ევროპის პირველობებზე გამოვლენ.

ლაშა დიდია

სურათზე: რუსუდან ჯიქურაული.
ვაჟა დანელიას ფოტო.

◎ ვალმოხდილი

ლუკა დი მონტეკემოლომ „ფერარი“ დატოვა

ლუკა დი მონტეკემოლო, ადამიანი, რომლის ხელმძღვანელობითაც, „ფერარიმ“ ფორმულა ერთში მოწინავე პოზიციები დაიბრუნა, ავტონდუსტრიაში კი გაყიდვები სამჯერ გაზარდა და მოგება — თითქმის ათჯერ, თავის პოსტს ტოვებს. ოფიციალურად ეს 13 ოქტომბერს მოხდება, როცა იტალიურ-ამერიკული საავტომობილო ჯგუფი „ფიატ კრაისლერ ავტომობილსი“ თავის აქციებს ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე გაიტანს.

„ფერარის“ მთავარი აღმასრულებლის პოსტზე დი მონტეკემოლოს სერჯო მარკიონე, „ფიატ კრაისლერის“ მთავარი აღმასრულებელი შეცვლის, ვისთანაც მას ბოლო წლებში ურთიერთობა დაეძაბა. მათ შორის უთანხმოების მთავარი მიზეზი ის არის, რომ დი მონტეკემოლოს „ფერარის“ ავტონომიურობის შენარჩუნება სურდა, მარკიონეს მიზანი კი მარანელოური მარკის ავტორიტეტის „ფიატ კრაისლერის“ სასარგებლოდ გამოყენებაა.

„ფერარი“ მთელს მსოფლიოში ყველაზე მშვენიერი კომპანიაა და ჩემთვის დიდი პრივილეგია იყო მის ხელმძღვანელად მუშაობა. ამ წლების განმავლობაში მისი კეთილდღეობისთვის ენთუზიაზმით და დიდი მონდომებით ვმუშაობდი. ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის აქ გატარებული წლები, იყო და მომავალშიც, ჩემი ცხოვრების ყველაზე გამორჩეული პერიოდი იქნება“, — ნათქვამია დი მონტეკემოლოს მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში.

გავრცელებული ინფორმაციით, დი მონტეკემოლოსა და მარკიონეს შორის უთანხმოების ერთ-ერთი მიზეზი ლუკას მიერ განსაზღვრული სტრატეგია გახდა, რომლის მიხედვითაც, „ფერარის“ წარმოების მაქსიმალური წლიური მოცულობა 7 000 ავტომობილით განსაზღვრა. ამის საბაბად დი მონტეკემოლომ ექსკლუზიურობის შენარჩუნების სურვილი დაასახელა. სხვათა შორის, წარმოების შეზღუდვის მიუხედავად, „ფერარიმ“ შარშან მოგება მაინც გაზარდა.

მაგრამ მარკიონე თვლის, რომ „ფერარიმ“ იმდენი ავტომობილი უნდა აწარმოოს, რამდენზეც მოთხოვნა იქნება

დი მონტეკემოლო „ფერარის“ ფორმულა ერთის გუნდს პირველად ჯერ კიდევ 26 წლისა ჩაუდგა სათავეში. ეს ენცო ფერარის გადაწყვეტილება იყო და მაშინ ნიკი ლაუდამ გუნდს ორი საჩემპიონო ტიტული მოუპოვა. სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობის შემდეგ დი მონტეკემოლო 1991 წელს კომპანიას ჩაუდგა სათავეში და მალე ფ1-ის გუნდში საჩემპიონო შემადგენლობას მოუყარა თავი — გუნდის შეფად ჟან ტოდტი, ტექნიკურ დირექტორად როს ბრაუნი, პირველ პილოტად კი მიხაელ შუმახერი მიიწვია. ამ ტრიომ საუკუნის დასაწყისში მარანელოელებს ხუთი ტიტული მოაპოვებინა...

გიორგი შოთაძე

◎ კალათბურთი

ესპანეთი ნოკაუტშია

მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე საფრანგეთის ნაკრები ესპანეთთან 64:88 განადგურდა, მეოთხედფინალში კი გაუვალი დაცვა „დააყენა“ და მასპინძლებს შოკისმომგვრელი მარცხი აგემა — 65:52.

დასკვნითი მეოთხედის წინ ვინსენ კოლეს შეგირდები ქულით ჩამორჩებოდნენ, თუმცა, ბოლო ათწუთეულში ესპანელებს 23:9 აჯობეს და საარაკო გამარჯვებას მიაღწიეს.

აღსანიშნავია, რომ ფრანგებმა მოხსნებში 50:28 იმარჯვეს, ესპანეთმა კი თამაშიდან 62-დან მხოლოდ 20 ტყორცნა (22-დან 2 სამქულიანი) გამოიყენა და თამაშის გადარჩენა ვეღარ მოახერხა.

შეხვედრის გმირი თომას უერტელი გახდა, რომელმაც 13 ქულიდან 11 დასკვნით მეოთხედში ჩააგდო. მის გარდა, გამოსარჩევია რუდი გობერის გარჯაც — 15 ქულა, 13 მოხსნა. ესპანელთა რიგებში სათანადო დონეზე მხოლოდ პაუ გასოლი გამოიყურება, რომლის მონაგარიც 17 ქულა და 8 მოხსნა იყო.

შეგახსენებთ, რომ „სამფეროვნებმა“ მრისხანე მეტოქეს „ევრო-20131“-ის მეოთხედფინალშიც სძლიეს, თუმცა, მაშინ მათი ლიდერი თვით ტონი პარკერი იყო.

ამგვარად, დღეს საფრანგეთი ნახევარფინალში სერბეთს ეთამაშება, მე-2 ფინალისტის ვინაობა კი აშშ-ს და ლიტვის ეროვნული გუნდების შერკინებაში გაირკვევა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ძიუდო

ბუქარესტში — ევროპის დასალაშქრავად

19-21 სექტემბერს რუმინეთის დედაქალაქი ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის პირველობას უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის ქართველი მოჭიდავეები გორში, გურამ პაპიტაშვილის სახელობის დარბაზში გადიან დასკვნით შეკრებას. მათთან ერთად ემზადებიან ჩეხები და ერთ-ერთი ბერძნული კლუბის წევრები.

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გია გუგავამ გუნდი შემდეგი ფალავნებით დააკომპლექტა: თორნიკე ნაგლიაშვილი, ლერი ჭელიძე (ორივე — 55), ივანე ჯავახიშვილი (60), გიორგი გუგულაშვილი (66), კობა მჭედლიშვილი (73), უშანგი მარგიანი, ლევან გუგავა (ორივე — 81), ბექა ღვინიაშვილი (90), გურამ თუშიშვილი (100) და გუგა კიბორძალიძე (+100). გუნდური პირველობისთვის ამათ გელა კელიხაშვილი (66) დაემატება.

ბუქარესტში ჩვენი გოგონებიც იჭიდავებენ. ევროპის შარშანდელი ჩემპიონი მარიამ ჯანაშვილი (52) ტრავმის გამო კარპატისპირეთში ვერ გაემგზავრება. ნაკრების მთავარ მწვრთნელ გია თენაძეს ახლა თურქეთში ერთობლივ შეკრებაზე ჰყავს ოლია ალადოშვილი (44), მზია ბებოშვილი, მარიამ მახარაშვილი (ორივე — 52), საღლომე აბაშიძე, მარიამ ციხელაშვილი (57) და ელენე ქებაძე (+78). ევროპაზე წამსვლელთა ვინაობას იგი ორიოდე დღეში დაასახელებს.

ლექსო ცინცაძე

◎ ინტერნეტიდან

სტარიჯი ყოფილმა სატრფომ მიივიწყა

ინგლისური „ლივერპულის“ ფეხბურთელის დანიელ სტარიჯის ყოფილი გულისსწორი, ბრიტანეთში ერთობ პოპულარული მოდელი ჯორდან დანი ყოფილ სატრფოზე საუბარს ერიდება და ინგლისელი ჟურნალისტების მრავალი მცდელობის მიუხედავად, წარსულზე თითქმის არასოდეს ლაპარაკობს.

ცოტა ხნის წინათ, ჯორდან დანი ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ და პოპულარობისდა შესაბამისად, გამორჩეულად მაღალანაზღაურებად მოდელად დასახელდა. ამ ეშხიანი შავტუხა ქალბატონის წლიური შემოსავალი თურმე ორ ათეულ მილიონ გირვანქა სტერლინგს აჭარბებს.

არადა, მაშინ, როდესაც ჯორდან დანი სტარიჯის გულისსწორი იყო, მისი სახელი და ვინაობა ძალიან ცოტა ვინმემ თუ იცოდა. ასეა, ბატონო, პოპულარობისაკენ მიმავალი გზა ხშირად ფეხბურთელების სატრფოობაზე გადის და მერე ვიღას ახსოვს ეს შენი დანიელ სტარიჯი...

როსტომ რაჭველიშვილი

დედამიწის ზურგზე

ჩინეთმა აჩვენა უახლესი ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა ეროვნული ტელევიზიის პირდაპირ ეთერში

ახალ მაღალტექნიკურ სისტემას შეუძლია უმალვე გაანადგუროს დაბლა მფრინავი რაკეტები, რომლებსაც შეიძლება ვერ მისწვდნენ თავდაცვის ლოკალური სისტემები. ახალი ამბების გამოშვებაში აჩვენეს, თუ ზენიტური რაკეტები, რომლებიც გაუშვეს ხომალდებიდან და სახმელეთო დანადგარებიდან, როგორ ანადგურებდნენ პირობითი მოწინააღმდეგის მიზნებს.

გაეროს 45 მშვიდობისმყოფელი, რომლებიც ისლამისტებმა აიყვანეს ტყვედ, გაათავისუფლეს, ამტკიცებენ წყაროები

მშვიდობისმყოფელები ფიჯიდან ხელში ჩაიგდეს ბოევიკებმა გოლანის მაღლობებზე ალ-კუნეიტრის მიდამოებში 28 აგვისტოს დილით. ბოევიკებმა სამი პირობა წამოაყენეს ტყვეების გასათავისუფლებლად — ესენია „ჯებხატ ან-ნუსრის“ ტერორისტული დაჯგუფების სიიდან ამოღება, დამასკოში ჰუმანიტარული დახმარების ორგანიზაცია და კომპენსაციის გადახდა დახოცილი თანამებრძოლებისათვის.

თავიანთ გამოკითხვაში შოტლანდიელთა 53 პროცენტი გამოვიდა დიდი ბრიტანეთიდან ძვეყნის გამოყოფის წინააღმდეგ

გამოკითხვა აჩვენებს, რომ რეფერენდუმის შედეგი ძველებურად უცნობია, და მაინც შეიძლება შეიცვალოს უკანასკნელ მომენტში. როგორც გამოირკვა, მამაკაცების თითქმის ნახევარი მომხრეა დამოუკიდებლობისა, ნახევარი კი — წინააღმდეგი. ამავე დროს, ქალების უმრავლესობა აპირებს ხმა მისცეს შოტლანდიის შენარჩუნებას დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში.

11 სექტემბრის ტერორისტული აქტების წლისთავის წინა დღეებში ამერიკის შეერთებულ შტატებში მოუწოდებენ, მოხსნას საიდუმლოების გრიფი ცნობას საუდის არაბეთის მონაწილეობის შესახებ ამ ტერორისტულ აქტებში

ეროვნული კომისიის მოხსენების ნაწილი ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში 13 წლის წინათ მომხდარი სასწაულებრივი ტერორისტული აქტის შესახებ, კვლავ გასაიდუმლოებულია. 2002 წელს, მოხსენების გამოქვეყნების დროს 28 გვერდი ამოიღო უმცროსი ბუშის ადმინისტრაციამ, და მას შემდეგ კონგრესის სპეციალურ საცავში ინახება.

◎ ალიანჩალიანი

„გალფის“ თანამშრომლებმა მართლაც გმირობა ჩაიდინეს

კომპანია გალფმა კომპანიისადმი განსაკუთრებული თავდადებისა და ერთგულებისათვის 10 თანამშრომელი ფულადი პრემიებით და სიგელებით დააჯილდოვა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ კომპანია „გალფიდან“ აცნობეს, მათ განსაკუთრებული სიმამაცე გამოიჩინეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს და დიდი წვლილი მიუძღვით ნავთობბაზაზე ხანძრის დროულად ლოკალიზებაში.

„გალფი“ მადლობას უხდის ყველა თანამშრომელს, ვინც ძალ-ღონე არ დაიშურა და საკუთარი სიცოცხლის ფასად, ცდილობდა უფრო დიდი საფრთხის თავიდან აცილებას. კომპანიისთვის მნიშვნელოვანია თანამშრომლების წახალისება და მხარდაჭერა. მოგეხსენებათ, „გალფში“ დასაქმებულია 1000-ზე მეტი თანამშრომელი“, — აცხადებენ კომპანიაში.

30 ივლისს „გალფის“ ნავთობბაზაზე ხანძარი გაჩნდა, რომლის დროსაც ცეცხლი მოედო კომპანიის ბენზომზიდებს. როგორც კომპანია „გალფში“ აცხადებენ, ნავთობბაზის მიმდებარედ არსებული მცირე მეწარმეების ქონება, რომელიც ხანძრის დროს დაზიანდა, სრულად ანაზღაურდება სადაზღვევო კომპანიის მიერ უახლოეს დღეებში.

ევროპის შვიდ ქვეყანაში სპეცოპერაციის დროს სამი ქართველი დააკავეს

ევროპის შვიდ ქვეყანაში პოლიციამ პასპორტებისა და მართვის მოწმობის გაყალბების ბრალდებით 100-მდე მოქალაქე, მათ შორის, სამი ქართველი დააკავა. ინფორმაციას ამის შესახებ news-round.com ავრცელებს.

გამოძიების ინფორმაციით, 40 წლის მოლდოველი მამაკაცი და მისი 34 წლის მეუღლე ჩეხეთის, რუმინეთისა და ბულგარეთის პასპორტებსა და მართვის მოწმებებს აყალბებდნენ 250-დან 1 500 ევროს სანაცვლოდ. ფალსიფიცირებულ დოკუმენტებს ისინი ევროპის ქვეყნებში, სხვადასხვა მიმღებებს უგზავნიდნენ, რომელთა შორის ქართველებიც იყვნენ.

მასშტაბური სპეცოპერაცია ევროპის შვიდ ქვეყანაში — ავსტრიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, საბერძნეთში, პორტუგალიაში, ესპანეთსა და შვედეთში ჩატარდა. სპეცოპერაციაში 950 სამართალდამცავი მონაწილეობდა. ოპერაციის ფარგლებში ყალბი დოკუმენტების გარდა, პოლიციამ ნაძარცვი ნივთები, იარაღი და ნარკოტიკები ამოიღო.

„საბუთების გაყალბება იმდენად ხარისხიანად ხდებოდა, რომ მის ამოცნობას ჩვეულებრივი პოლიციელი შემოწმების დროს ვერ შეძლებდა. ეს დოკუმენტები დალუქული სახით ფოსტის საშუალებით იგზავნებოდა, თანხას ყველა პირი წინასწარ იხდიდა. დოკუმენტები ევროპის მასშტაბით სულ 300-ზე მეტ ადგილზეა გაგზავნილი“, — განაცხადა გერმანიის კრიმინალური პოლიციის სააგენტოს წარმომადგენელმა ტორსტენ ვიტკემ.

ისევ უკანონოდ შენახული ცეცხლსასროლი იარაღი

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სამინისტროდან აცნობეს, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1993 წელს დაბადებული ბაქარ ფ. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბაქარ ფ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას „ჩემპიონ-მაგნუმი“ის მოდელის არარეგისტრირებული საფანტის პისტოლეტი, შაშხანა და 6 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა სასროლად ვარგისია.

◎ ჩვენი კარაბადინი

სევდა მემკვიდრეებზე

მამაკაცები უშვილობას ქალებზე გაცილებით მძიმედ განიცდიან, ამტკიცებენ ბრიტანელი მეცნიერები.

სხვადასხვაგვარია მიზეზები, რომელთა მიხედვით სხვადასხვა სქესის წარმომადგენლებს სურთ იყოლიონ ბავშვები. ქალებში მთავარია არა მხოლოდ პირადი სურვილი, არამედ ბიოლოგიური მოთხოვნილებაც, მამაკაცებზე კი უფრო მეტად გავლენას ახდენს ზემოქმედება საზოგადოების მხრიდან. მემკვიდრის უყოლობის გამო მათ ხშირად უჩნდებათ დეპრესია და ბოროტებაც.

ბრიტანელი მეცნიერების მიერ მოწყობილმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ბავშვების ყოლა უნდათ მამაკაცების 59 პროცენტს და ქალების 63 პროცენტს. მათგან უშვილობა დიდ ტვირთად აწევს და ტანჯავს მამრობითი სქესის წარმომადგენელთა ნახევარს და ქალების მხოლოდ 27 პროცენტს. დეპრესია კი, რაც გამოწვეულია ამ მიზეზით, აწუხებს მამაკაცების 38 პროცენტს და ქალების 27 პროცენტს.

მავნე ჩვევა

ჩინელი მეცნიერები ურჩევენ მშობლებს, დაიცვან ბავშვები ფანქრის ღეჭვის ჩვევისგან, განსაკუთრებით, თუ ოჯახის ცხოვრების რაიონში სამრეწველო ობიექტებია. ამ შემთხვევაში ფანქრებში გროვდება ტყვია, რომელიც გამოიყოფა გარემობუნებაში მოქმედი საწარმოების მიერ და რომელიც მერე ხვდება ბავშვის ორგანიზმში.

ლითონით მოწამვლის რისკის ჯგუფში შედიან ბავშვები 1-დან 5 წლამდე. ტყვიის შემცველობის გადიდებას ორგანიზმში მივყავართ ინტოქსიკაციასთან და თავის ტვინის დაზიანებებთან.

გზა გონებასუსტობისკენ

ვიტამინ D დეფიციტი ხანდაზმულ ასაკში ზრდის მოხუცებულობის გონებასუსტობისა და ალცჰეიმერის დაავადებათა რისკს 2-ჯერ და მეტად, დაასკვნა მკვლევართა საერთაშორისო ჯგუფმა ექსეტერის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტის მეცნიერთა ხელმძღვანელობით. სისხლში D ვიტამინის ზომიერი დეფიციტი ზრდის გონებასუსტობის რისკს 53 პროცენტით, მძიმე დეფიციტი კი — 125 პროცენტამდე.

გამოვლინდა ასევე D ვიტამინის კონცენტრაციის ზღურბლის დონე, რომლის ქვევითაც ხდება გონებრივი უნარის რისკის ნახტომისებური ზრდა. ასეთ მნიშვნელობად აღმოჩნდა დონე — 50 ნანომოლი ლიტრზე.

როგორც ბოდვაში

დღე და ღამის უძილობა იწვევს ფსიქოზს და აუარესებს ტვინის უნარს, გამოყოს მნიშვნელოვანი უმნიშვნელოსაგან, გამოარკვიეს მეცნიერებმა ბონის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ინსტიტუტიდან.

მათ აიძულეს ჯანსაღი მოხალისეები გაატარონ დღე-ღამე უძილოდ. დილით, როგორც მოსალოდნელი იყო, მოხალისეებს გაუუარესდათ ყურადღება და კონცენტრირების უნარი, აგრეთვე გაუჩნდათ სიმპტომები, რომლებიც შიზოფრენიას მოგვაგონებს. ზოგიერთი მათგანი ამტკიცებდა, რომ შეეცვალათ საკუთარი სხეულის აღქმა, სხვებს კი ეჩვენებოდათ, რომ შეიძინეს უნარი, ამოიცნონ აზრები.

რომ შეემოწმებინათ, რამდენად მართლზომიერია გამოუძინებლობის და შიზოფრენიის შედარება, გამოსაცდელებს ჩაუტარეს ტესტირება, რომელიც ემყარება იმას, რომ ადამიანები უნებლიეთ რეაგირებენ მოულოდნელ მკვეთრ ხმებზე, რეაქციის ძალა კი შეაფასო სახის კუნთების დაძაბულობის ხასიათით. ამ დროს თუ მომავალ მკვეთრ ხმაზე გავაფრთხილებთ ადამიანს, სახის კუნთები მის დროს აღარ იძაბება. ტვინმა უკვე იცის, რომ ხმების ამ შეხამებაში არაფერია განსაკუთრებული, და უბრალოდ ფილტრავს მას, როგორც საათის წიკწიკს ან სუნთქვის ხმას.

შიზოფრენიის დროს კი შეჩვევები პრაქტიკულად არ ხდება, ადამიანი კვლავ რეაგირებს ხმის მკვეთრ სიგნალზე. ეს ეფექტი შეინიშნებოდა მოხალისეების იმ შემთხვევაშიც, რომლებმაც დღე-ღამე უძილობაში გაატარეს.

მაგრამ ნორმალური რეჟიმის ერთი დღე-ღამის შემდეგ მრისხანე სიმპტომები მთლიანად ქრება.

კომენტარს აკეთებს ექიმი-სომნოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი მიხეილ პაპიძე:

— ყოფიერების დონეზე ყველას ესმის, მთელი დღე-ღამე უძილოდ უკვალოდ არ რჩება. მაგალითად, უძილობის მეორე დღე-ღამის ბოლოს ადამიანი იმდენსავე შეცდომას უშვებს კომპიუტერის სტიმულატორზე, რამდენსაც მთვრალი. გერმანელი კოლეგების ზემომოყვანილი გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ ღამის დასვენების არქონას თან ახლავს უფრო უხეში, ვიდრე ადრე მიაჩნდათ, დარღვევები გარედან შემოსული ინფორმაციის დამუშავებაში.

სიყვარული არასოდეს მოკვდება!

შენი მეორე ნახევარი შეიძლება გიყვარდეს ღრმა სიბერემდე ისევე მგზნებარედ, როგორც გაცნობის პირველ დღეებში. ამერიკელი მეცნიერების ექსპერიმენტში მონაწილეობდნენ მოხალისეები — ოჯახური წყვილები, რომლებმაც ქორწინებაში ბედნიერად იცხოვრეს 20 წელი, და ახალდაქორწინებულები. საცდელებს სთხოვდნენ რამდენიმე წუთი ემზირათ თავიანთი მეუღლეების, მეგობრების, ნაცნობებისა ან შემთხვევითი ადამიანების ფოტოებისათვის. ამ დროს ტომოგრაფი აფიქსირებდა მათი ტვინის აქტიურობას. როდესაც მიღებული მონაცემები შეადარეს, აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდა შეყვარებულებისა და ხანდაზმული საოჯახო წყვილების ტესტები პრაქტიკულად ერთნაირი იყო. აღმოჩნდა აგრეთვე, რომ ცოლის ან ქმრის ფოტოს მზერის დროს ცოლ-ქმარს სოლიდური ოჯახური სტაჟით უაქტიურდებათ ტვინის იგივე მონაკვეთები და გამოუმუშავდებათ სიყვარულის ჰორმონის — დოფამინის იგივე რაოდენობა, რამდენიც ახალგაზრდა წყვილებს.

რომანი ოტელოსთან

ეჭვიანი მამაკაცები უკეთესი საყვარლები არიან, დარწმუნებით ამბობენ სპეციალისტები დიდი ბრიტანეთიდან. მათი აზრით, ეჭვიანობა იწვევს ძლიერი სქესის წარმომადგენელთა სექსუალური უნარის მობილიზებას.

დასკვნები მიიღეს დროზოფილ ბუზებზე დაკვირვების შედეგად, რომელთათვისაც დამახასიათებელია მონოგრამური ურთიერთობანი. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ამ არსებების ურთიერთობის მოდელი შეიძლება გამოვიყენოთ ადამიანების მიმართაც. ექსპერტებმა განმარტეს, რომ ეს მამალი ბუზები გრძნობენ კონკურენტებს, ღელავენ, რის შედეგადაც სქესობრივი აქტის ხანგრძლივობა თითქმის ორჯერ იზრდება. ასე ცდილობს მამალი შეზღუდოს დედალი კონკურენტისაგან განაყოფიერებისაგან. ამრიგად, ეჭვიანობა ხელს უწყობს უფრო ხარისხიან სექსს.

„მწვანის“ ბატონობა

როგორ დაფუძნდა დოლარის ხელისუფლება და ექნება თუ არა მას დასასრული?

მსოფლიო დაიღალა ქაღალდ-დოლარის სისტემისგან და უმზადებს მას შემცვლელს. ამის, აგრეთვე იმის შესახებ, რატომ და როგორ გახდა ამერიკული ვალუტა მთავარი მსოფლიოში, გვიამბობს ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვალენტინ კატასონოვი.

ბანკირი — პროვოკატორები

— ბატონო ვალენტინ, ამ ზაფხულს აღინიშნა მნიშვნელოვნი თარიღი მსოფლიო საფინანსო სისტემის ისტორიაში. 70 წლის წინათ, 1944 წელს ამერიკის ქალაქ ბრეტონ-ვუდსში კონფერენციაზე დოლარი გახდა მთავარი სარეზერვო მსოფლიო ვალუტა. რატომ სწორედ ის? იყვნენ იმ მომენტისთვის მისი კონკურენტები?

— დავიწყოთ წინაისტორიიდან. XX საუკუნის დასაწყისამდე მსოფლიოში მთავარი სარეზერვო ვალუტა იყო ბრიტანული გირვანქა სტერლინგი. ეს ბატონობა იყო არანორმალური, რომელიც ემყარებოდა ნდობას ლონდონისადმი, როგორც დიდი კოლონიური იმპერიის ცენტრისადმი. ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობა მოიცავდა დედამიწის მოსახლეობის ნახევარს და მზე მის თავზე არასოდეს ჩადიოდა. 1821 წელს ლონდონში პირველად შემოიღეს ოქროს სტანდარტი, ესე იგი სახელმწიფომ თავისი ფული მიაბა ოქროს და იკისრა ვალდებულება, რომ ფული თავისუფლად დაახურდაოს მასზე. XIX საუკუნის შუა პერიოდისთვის ლონდონი მაღალი საპროცენტო განაკვეთების წყალობით, რომელიც იზიდავდა კაპიტალს ყველა ქვეყნიდან, მსოფლიო საფინანსო ცენტრი გახდა. აი მრეწველობამ კი ინგლისში დაძაბუნება დაიწყო. ამერიკის შეერთებულ შტატებში კი მან დაიწყო სიმაღლეების დაპყრობა, და XX საუკუნის დასაწყისში შტატებმა ეკონომიკური მაჩვენებლებით ბრიტანეთს გაუსწრო. მაგრამ ამერიკული დოლარი ჯერ კიდევ იყო არა მეორე, არამედ მესამე პოზიციაზე მსოფლიოში გერმანული მარკისა და ფრანგული ფრანკის შემდეგ.

ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენ გავიხსენეთ კიდევ ერთი მრგვალი თარიღი — პირველი მსოფლიო ომის დასაწყისი. და უნდა ვიცოდეთ, რომ მის გაჩაღებაში უკანასკნელი როლი არ შეუსრულებიათ ამერიკულ ბანკირებს. თუმცა, ცოტა უკან დავიხევ: ამერიკელი ბანკირები — პირობითი მცნებაა. ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური სარეზერვო სისტემის აქციონერთა შორის, რომელიც 1913 წლის დეკემბერში შეიქმნა, ბევრი უცხოელი იყო. ბანკირებს საერთოდ, ჩემი აზრით, ეროვნება არ გააჩნიათ. ეს ბიჭები — კოსმოპოლიტები არიან, და მათ შექმნეს ფედერალური სარეზერვო სისტემა, რომ ომზე ხელები მოეთბოთ და შეეცვლათ ძალთა შეფარდება მსოფლიო ფინანსებში ამერიკული დოლარის სასარგებლოდ.

— მაგრამ ეს შეძლო მხოლოდ 30 წლის შემდეგ...

— დიახ, პირველი მსოფლიო ომი საკმარისი არ აღმოჩნდა. ჩემი აზრით, მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი მიზანი ასევე იყო დოლარის ბატონობის დამკვიდრება. ბრეტონ-ვუდის კონფერენცია 1944 წლის ივლისში გაიმართა, მარამ იქ მიღებული ოქროს დოლარის სტანდარტის პროექტის მომზადება მანამდე დიდი ხნით ადრე დაიწყეს. 1933 წელს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ფრანკლინ რუზველტმა გამოაცხადა დოლარის... კონფისკაციის შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატების ყველა მოქალაქეს უნდა ჩაებარებინა თავისი ოქრო. კანონის დაუცველობის გამო სერიოზული სასჯელი იყო გათვალისწინებული. ამერიკის დემოკრატიის საუცხოო მაგალითია — ასე არაა? მაგრამ საუბარი სხვა რამეზეა. ძნელია, ზუსტად იმის თქმა, ხელზე არსებული რამდენი ძვირფასი ლითონი ჩააბარეს, თუმცა, ჩააბარეს ბევრი. ამ ოქროთი ააგეს სახელგანთქმული საცავი ფორტ-ნოკსი კენტუკის შტატში. ფიზიკურ პირთა ოქროს კონფისკაციის შემდეგ იქვე გადაიტანეს ბანკების ოქრო, რომლებმაც ამის სანაცვლოდ ოქროს ხელწერილები მიიღეს. აი, ასე, კალმის ერთი მოსმით ოქროს ოდენობა ამერიკის შეერთებულ შტატებში გაორმაგდა: ხომ ითვალისწინებდნენ რეალურსაც, რომელიც ფორტ-ნოკსში ინახებოდა, და მის უზრუნველსაყოფად გაცემულ ქაღალდებსაც, რომელთა მეშვეობითაც ბანკებმა დაიწყეს დოლარების ბეჭდვა.

სტაფილო ადმოსავლეთისთვის

— ფული, უზრუნველყოფილი ქაღალდებია... აი, როგორ დაიწყო ეს ყველაფერი!

— რას ამბობთ! ეს სქემები საუკუნეებია, არსებობს. გამოუშვა ფასიანი ქაღალდი კერძო უზრუნველყოფით საფინანსო სამყაროში — ეს წმინდა საქმეა! რა თქმა უნდა, არიან პირწავარდნილი თავხედები, რომლებიც ქაღალდებს უშვებენ სულაც უზრუნველყოფის გარეშე, და საფინანსო სამყარო მათ გმობს კიდეც. მაგრამ გამოდის, რომ ნულოვანი უზრუნველყოფით — ცუდია, 5 პროცენტით კი — უკვე კარგი?

მაგრამ დავუბრუნდეთ ამერიკულ ოქროს. კონფისკაციის შემდეგ შექმნილმა მარგმა მოიმატა მეორე მსოფლიო ომის წლებში (ამ პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატები ვაჭრობდა იარაღით, აქტიურად შემოჰქონდა ქვეყანაში ოქრო). და ამერიკის შეერთებული შტატების განკარგულებაში არსებულმა ძვირფასი ლითონის სწორედ ამ დიდმა ოდენობამ მიგვიყვანა იმასთან, რომ ბრეტონ-ვუდის კონფერენციაზე ყველა ქვეყანამ მხარი დაუჭირა დოლარს, როგორც მსოფლიოს სარეზერვო ვალუტას. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კი იკისრა ვალდებულება თავისუფლად გაცვალოს თავისი ვალუტა ოქროზე, ოღონდ ოფიციალურ მფლობელებთან, ესე იგი სახელმწიფოს ცენტრალურ ბანკებთან. სხვათა შორის, ეს დაპირება იყო ზეპირი. არანაირი დოკუმენტი ამასთან დაკავშირებით არაა. და ამერიკის შეერთებულ შტატებს მოუწია მისი შესრულება 1960-იანი წლების შუა პერიოდში, როდესაც საფრანგეთის პრეზიდენტმა შარლ დე გოლმა წარადგინა დოლარები ოქროზე გადასაცვლელად.

რასაკვირველია, ეს დარტყმა იყო შტატებისათვის, საბეჭდი დაზგა ხომ მთელი ძალით მუშაობდა, და უკვე 1961 წლისათვის არსებული ოქროსა და გამოშვებული დოლარის მოცულობა გათანაბრდა. საჭირო იყო რაღაც გამოსავლის ძებნა. და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იგი მონახა. 1971 წლის 15 აგვისტოს პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა გამოაცხადა, რომ ქვეყანა წყვეტს დოლარების გაცვლას ოქროზე. 1976 წელს იამაის კონფერენციაზე კი მიღებული იქნა საქაღალდე — დოლარის სტანდარტი, რომელიც დღემდე არსებობს. მაგრამ გასაგებია, რომ მაშინ მხოლოდ გაამაგრეს უკვე მიღებული პროექტი, რომელსაც ამერიკა ამზადებდა მთელი ამ 5 წლის განმავლობაში. ეს მონაკვეთი კი გადატვირთული იყო მოვლენებით. 1973 წელს დაიწყო არაბეთ-ისრაელის ომი, რომელმაც ენერგეტიკულ კრიზისთან და ნავთობზე ფასების ოთხჯერ გადიდებასთან მიგვიყვანა. ფასების ამ ზრდამ, თავის მხრივ, მკვეთრად გაზარდა მოთხოვნილება ვალუტაზე. ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი (რომელიც, სხვათა შორის, ამ ომის ერთ-ერთი პროვოკატორი იყო) წავიდა ვიზიტით ახლო და შუა აღმოსავლეთში... რათა დაერწმუნებინა ეუთოს ქვეყნები, გაეყიდათ ნავთობი მხოლოდ დოლარზე. პირველი საუდის არაბეთი იყო. რასაკვირველია, ამ ქვეყნებს სანაცვლოდ რაღაც სტაფილო სჭირდებოდათ. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იგი შესთავაზა — იარაღის მიწოდება და სამხედრო-პოლიტიკური ქოლგა არსებული და შესაძლო მტრებისაგან დასაცავდ. საქმე გაკეთდა, ამერიკის შეერთებული შტატები უზრუნველყოფდა მოთხოვნილებას დოლარზე ნავთობზე მოთხოვნილების მეშვეობით. ამ მოთხოვნილებამ, აგრეთვე ოქროს მუხრუჭის მოხსნამ საბეჭდ დაზგაზე საშუალება მისცა ამერიკის შეერთებულ შტატებს, განეხორციელებინა ალქიმიკოსების საუკუნოვანი ოცნება — მიეღო ფული ქარისგან, გამოეშვა არაფრით უზრუნველყოფილი დოლარები.

როტშილდები როკფელერების წინააღმდეგ

— რამდენ ხანს იარსებებს ამჟამინდელი სისტემა?

— ვფიქრობ, რომ — დიდხანს არა. მსოფლიო მისგან დაიღალა.

რას შესთავაზებენ სანაცვლოდ — ძნელია ამის თქმა, მაგრამ, დარმუნებული ვარ, რომ ერთ-ერთი ძირითადი ვარიანტი ოქროს სტანდარტის აღორძინება იქნება, ამას დაჟინებით მოითხოვენ როტშილდები — ფინანსისტების ძლევამოსილი დაჯგუფება (ისინი შეიძლება აღარც იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული ნათესაური კავშირითურთიერთობებით ლეგენდარულ დინასტიასთან).

მაგრამ ოქროს სტანდარტის რეანიმაციისთვის საჭიროა, რომ რომელიმე ქვეყანამ იგი პირველმა შემოიღოს. დღეისათვის ოქროს ყველაზე დიდ მარაგს თავი მოუყარა ჩინეთის სახალხო ბანკმა, და ეტყობა, როტშილდები ფსონს სწორედ ამ ქვეყანაზე ჩადიან. მაგრამ მათ აქტიურად უპირისპირდებიან როკფელერები, რომელთა ვოტჩინაც (სამემკვიდრეო მამულს ნიშანვს — რედ.) არის ნავთობი და ამერიკული საბეჭდი დაზგა ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე.

სხვათა შორის, კოსმოპოლიტი ბანკირებისათვის არ აქვს მნიშვნელობა, სად იქნება საბეჭდი დაზგა — მთავარია, რომ იგი კარგად იყოს დაცული. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ დღეს ამერიკული დოლარის უზრუნველმყოფებად გვევლინებიან ავიამზიდები და ბომბდამშენები.

ვიქტორია გუდკოვა

Аргументы и факты

⊙ ცინცხალი ანეკდოტები

— მე იმ ბრონქიტიან ავადმყოფს ვურჩევ, თბილად ჩაიცვი-მეთქი, — ეუბნება ერთი ექიმი მეორეს.

— სწორად მოქცეულხარ.

— სწორად არა!.. იმ თახსირს წასვლისას ჩემი ქურქი წაუღია.

* * *

— შენი ცოლი სექსუალური თვალსაზრისით გაკმაყოფილებს?

— მაკმაყოფილებს!

— მაშინ რატომ სცილდებით ერთმანეთს?

— იმიტომ, რომ ის მარტო მე არ მაკმაყოფილებს ამ თვალსაზრისით...

* * *

— მიხო, მოდი, შევთანხმდეთ, რამდენჯერაც ვიჩხუბებთ, იმდენჯერ ყულაბაში თითო დოლარი ჩავაგდოთ! — ეუბნება ცოლი.

— ქალო, მე შენ მილიონერი ხომ არ გგონივარ!

* * *

ინფორმაცია — ეს არის ის, რასაც გვიმალავენ. დანარჩენი რეკლამაა.

⊙ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა მაშაკიძე 514 33-33-24